შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№7 (9.867)

9 - 16 მარტი 2019 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

სილარიბისა და ოკუპაციის დაძლევა განათლების მეშვეობით – მთავრობის ახალი სტრატეგია

გვ. 2

ღვინო - ჩვენი სავიზიტო ბარათი

გვ. 4

ახალი სახეები მწერალთა ასოციაციის რიგებში

გვ. 4

მერმა ქალთა დღესასწაულები მიულოცა

გვ. 3

„შვილები ყველანაირ გაჭირვებას მავიწყებენ, მათი ღიმილი და ჩახუტება ჩემთვის ბედნიერება და ყველაზე დიდი საჩუქარია“- ამბობს 8 შვილის დედა თამუნა ჩიტაია

„ჯეოსელიდან“ – აგროსფეროში

რას გეგმავს ოსმან თურანი დედოფლისწყაროში?

გვ. 3

„ავაშენებთ გადამამუშავებელ ქარხანას და დავასაქმებთ ადგილობრივ მოსახლეობას. იმედია, ზეთისხილი დედოფლისწყაროს ეკონომიკაზე პოზიტიურ გავლენას მოახდენს“

ვ ა კ ა ნ ს ი ა !

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიაში გამოცხადდა ღია კონკურსი შემდეგ ვაკანტურ თანამდებობაზე:

1. მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი

2. მეორადი სტრუქტურული ერთეულის - სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის საკითხებში.

განცხადებების რეგისტრაცია სწარმოებს ელექტრონულად, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებ. გვერდზე www.hr.gov.ge

განცხადების რეგისტრაციის ბოლო ვადა მიმდინარე წლის 15 მარტის ჩათვლით.

იმერეთის ქიზიყელი მიტროპოლიტი

გვ. 5

ჩემპიონები სამჭიდსა და წოლჭიმში

თედო ვარდიშვილი – ეროვნულ ნაკრებშია

„როცა ძლიერი ხარ და მიზანი გაქვს, უფრო მეტ წარმატებას მიაღწევ ცხოვრებაში“



გვ. 8

C M Y K

ირაკლი ღარიბაშვილი პოლიტიკაში დაბრუნდა

ეს კვირა პოლიტიკური მოვლენების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. საზოგადოება ჯერ არ გამოსულიყო იმ შოკიდან, რაც ქართული ოცნების რიგებიდან ძველი, საკმაოდ წონიანი ფიგურების წასვლით მიიღო, რომ ახლა მორიგი სიურპრიზი მოუმზადა პარტიის ხელმძღვანელმა. ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნების შემდეგ საუბრები მისი მარჯვენა ხელის პოლიტიკაში მეორედ მოსვლის შესახებ კი ვრცელდებოდა, მაგრამ კითხვის ნიშნები მაინც რჩებოდა... პოლიტიკოსების ნაწილი მიიჩნევდა, რომ ივანიშვილი ამ ნაბიჯს არ გადადგამდა. რამდენიმე დღის წინ ბიძინა ივანიშვილმა ვარაუდებს წერტილი დაუსვა და ირაკლი ღარიბაშვილი ოფიციალურად წარადგინა, როგორც „ქართული ოცნების“ პოლიტიკური მდივანი.

ხელისუფლების წარმომადგენლების შეფასებით, ირაკლი ღარიბაშვილი პარტიის გაჯანსაღებას შეუწყობს ხელს. “ირაკლი ღარიბაშვილს აქვს ძალიან მნიშვნელოვანი წვლილი შეტანილი მნიშვნელოვან ეტაპზე ჩვენი ხელისუფლების გაძლიერებაში, ქვეყნის განვითარებაში,“- ეს განცხადება პარლამენტის თავჯდომარემ ჟურნალისტებთან გააკეთა. ირაკლი კობახიძემ ხელისუფლების გაძლიერებაში ექსპრემიერის და ახლა უკვე “ქართული ოცნების” პოლიტიკური მდივნის მიერ შეტანილ წვლილზე ისაუბრა. მისი თქმით, ღარიბაშვილს აქვს დიდი რესურსი, რომ პარტიის გაძლიერებაში წვლილი შეიტანოს. „ჯერ კიდევ შარშან პარტიის თავმჯდომარე საუბრობდა, რომ არის ქმედითი ნაბიჯები გადასადგამი პარტიის გასაძლიერებლად და ბუნებრივია, ამ კუთხით ირაკლი ღარიბაშვილს შეუძლია ძალიან მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა. პარლამენტში რაიმე არსებითი ცვლილებები არ იგეგმება,“ - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

სიღარიბისა და ოკუპაციის დაძლევა განათლების მეშვეობით

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, მამუკა ბახტაძემ, 7 მარტს განათლებით სიღარიბის დაძლევის ინიციატივა წარმოადგინა, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო უპრეცედენტო ვალდებულებას იღებს, ყოველწლიურად, ეროვნული დოვლათის 6% განათლების სფეროს დაფინანსებასა და მის სრულ ტრანსფორმაციაზე წარმართოს. ამ რეფორმის მიზანია, ამჟამად არსებული ერთეული მიღწევები ქართული აკადემიური და ინტელექტუალური ცხოვრების ჩვეულ მოვლენად იქცეს. განათლების მსურველებს მოემატებათ შესაძლებლობები სტრატეგიულად გაზრებული და ფინანსურად უზრუნველყოფილი განათლების პოლიტიკით.

„საქართველოს ჰყავს ორი მტერი - ოკუპაცია და სიღარიბე. საოკუპაციო ხაზი და ეკონომიკური სიდუხჭირე არის ის, რაც არ გვაძლევს სრულფასოვანი განვითარების შესაძლებლობას, ის, რასთან შეგუებაც შეუძლებელია, ის, რისი დაძლევისთვის ბრძოლაც გახლავთ ყოველი ჩვენგანის მთავარი ცხოვრებისეული მიზანი“, - მამუკა ბახტაძე.

გასულ წელს, იყალთოს აკადემიაში გამართულ პრეზენტაციაზე, 2019-2022 წლებისათვის განათლების ფართომასშტაბიანი რეფორმა დაანონსდა. ეს რეფორმა ხუთივე მიმართულებით ხორციელდება: ადრეული და სკოლამდელი განათლება, ზოგადი განათლება, პროფესიული განათლება, უმაღლესი განათლება და მეცნიერება. რესურსების მობილიზაცია ამ დიდი პროექტის განსახორციელებლად უკვე დაწყებულია.

გაერო საქართველოს 12 დაცულ ტერიტორიას განვითარებაში დაეხმარება

საქართველოს 12 დაცული ტერიტორია გაეროს განვითარების პროგრამისგან და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდისგან მრავალმხრივ დახმარებას მიიღებს. დაცული ტერიტორიების სააგენტოს ცნობით, ხუთწლიანი პროგრამა, რომლის სრული ბიუჯეტი 10 მილიონ აშშ დოლარს აღწევს, კავკასიის ბუნების ფონდისა და დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ განხორციელდება.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ტექნიკური და საკონსულტაციო დახმარება შემდეგ 12 დაცულ ტერიტორიას მოიცავს: ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები, ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები, თუშეთის დაცული ტერიტორიები, თუშეთის დაცული ღანდშაფტი, მტირალას ეროვნული პარკი, ჯავახეთის ეროვნული პარკი, ყაზბეგის ეროვნული პარკი, ალგეთის ეროვნული პარკი, კინტრიშის დაცული ტერიტორიები, მაჭახელას ეროვნული პარკი და ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიები.

საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს, გაერო-ს განვითარების პროგრამის (UNDP), გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF), კავკასიის ბუნების ფონდისა (CNF) და საქართველოს ბანკის ერთობლივი პროგრამა 2023 წლამდე გაგრძელდება.

„ამჟამად დაცული ტერიტორიები საქართველოს მთლიანი ფართობის 8 პროცენტს შეადგენს, ხოლო მომავალი რვა წლის მანძილზე ეს მაჩვენებელი 20 პროცენტამდე გაიზრდება“,- განაცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ იური ნოზაძემ.

პროგრამის ბიუჯეტში გაერთიანებულია გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) გრანტი (1.8 მილიონი აშშ დოლარი), საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანადაფინანსება (4.8 მილიონი აშშ დოლარი), კავკასიის ბუნების ფონდის (CNF) წილი (3.1 მილიონი აშშ დოლარი) და საქართველოს ბანკის წილი (200,000 აშშ დოლარი).

საქართველოს პრეზიდენტმა ლიეტუვაში მცხოვრებ ქართველ სტუდენტებთან შეხვედრაზე დასაქმების საკითხებსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ისაუბრა

პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, ლიეტუვაში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, ლიეტუვაში მცხოვრებ ქართველ სტუდენტებს შეხვდა, საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესზე და ქვეყანაში შრომის ბაზრის მიმართულებით შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით ისაუბრა.

პრეზიდენტის განცხადებით, საქართველოს განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ის ადამიანური რესურსი, რომელიც განათლებას იღებს საზღვარგარეთ, სურს სამშობლოში დაბრუნება და შეძენილი ცოდნისა და გამოცდილების ქვეყნის სამსახურში ჩაყენება. საქართველოს პრეზიდენტი დაინტერესდა, როგორ ხედავენ საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველი სტუდენტები საკუთარ თავს სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, როგორ ხედავენ ისინი მომავალ პროფესიულ კარიერას.

სალომე ზურაბიშვილის აზრით, დღეს ქართული განათლების სისტემა ბოლომდე არ არის მორგებული შრომის ბაზრის საჭიროებებს. ერთი მხრივ, ქვეყანაში მაღალია უმუშევრობის მაჩვენებელი და მეორე მხრივ, კონკრეტული საჭიროებებისა და კატეგორიის კადრები რთული მოსაძიებელია, ამიტომ საჭიროა, პროფესიული განათლებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანა.

როგორც საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, სახელმწიფომ მკაფიოდ უნდა ჩამოაყალიბოს საკუთარი პრიორიტეტები და გაარკვიოს სად და როგორი კადრები სჭირდება. საქართველო უნდა დაუახლოვდეს შრომის ევროპულ სტანდარტს და მოხდეს ევროპული სამუშაო კულტურის გადმოტანა.

საქართველოს პრეზიდენტმა სტუდენტებთან შეხვედრისას პრეზიდენტის ადმინისტრაციის რეორგანიზაციის პროცესზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ მისი ადმინისტრაცია ღიაა ახალგაზრდა კადრებისათვის. სტაჟირების სისტემა კი, მათ საშუალებას მისცემს გამოსცადოს საკუთარი თავი საჯარო სამსახურში, ხოლო პრეზიდენტის ადმინისტრაციაში კი, სტაჟიორები შეიტანენ ახალ იდეებსა და ინიციატივებს.

სტუდენტები დაინტერესდნენ: სახელმწიფოს განათლების სისტემის განვითარების მიმართულებებით, საქართველო-ევროკავშირის სამომავლო ურთიერთობების დღის წესრიგით, საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ასპექტებით.

აღნიშნულ ინფორმაციას საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური ავრცელებს.

საპატრიარქო უზენაეს სასამართლოს ე.წ. ციანიდის საქმის მასალების გასაჯაროების თხოვნით მიმართავს

საქართველოს საპატრიარქო უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელ მზია თოდუას განცხადებით მიმართავს.

განცხადებაში საპატრიარქო უზენაეს სასამართლოს სთხოვს, გაასაჯაროოს ე.წ. ციანიდის საქმესთან დაკავშირებული მასალები.

„მოგმართავთ შემდეგი თხოვნით: მოგეხსენებათ, ე. წ. „ციანიდის საქმეს“ ადევს გრიფით საიდუმლო, რაც ზოგიერთ პიროვნებას საშუალებას აძლევს სხვადასხვა ინტერპრეტაციის გაკეთებისა და საზოგადოების შეცდომაში შეყვანისა.

მართალია, კანონი კრძალავს აღნიშნული სახის მასალების გასაჯაროებას, მაგრამ შექმნილი ვითარების ფონზე, იქნებ იქნას გამონაკლისი დაშვებული, გასაჯაროვდეს ეს დოკუმენტები და ყველას მიეცეს საშუალება, გაეცნოს საქმის რეალურ მდგომარეობას, მითუმეტეს, რომ ამის მოსურნეა როგორც ბრალდებულის, ისე დაზარალებულისა და მოწმის მხარე, ამის მოსურნეა საქართველოს საპატრიარქო და საზოგადოება“, - ნათქვამია საპატრიარქოს მიერ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლისადმი გაგზავნილ განცხადებაში.

შეხვედრა მრავალშვილიან დედებთან ქვემო ქედში

2019 წლის 6 მარტს, ქვემო ქედის კულტურის სახლის ორგანიზებითა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის ხელშეწყობით, ქვემო ქედის საჯარო სკოლაში ჩატარდა „ქალთა დღისადმი“ მიძღვნილი ღონისძიება.

ღონისძიებაზე მოწვეულები იყვნენ სოფლის „მრავალშვილიანი დედები“, რომლებსაც საჩუქრები გადაეცათ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის მიერ. საღამო მიჰყავდა ქვემო ქედის საჯარო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლეს მარიამ ტოხიშვილს. ღონისძიებაზე აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქვემო ქედის კულტურის სახლთან არსებული თამარ კობაიძის მიერ შექმნილი ფოლკლორული ანსამბლები: „მთის შვილნი“ „მზის სხივი“, „თაობა“ და ვაჟთა გუნდი „არწივი“. საღამოს ცეკვით ალამაზებდა ქორეოგრაფიული ანსამბლი „მთიელნი“, ალექსი გაბრიელაშვილის ხელმძღვანელობით.

ღონისძიების ბოლოს სამადლობელი სიტყვა წარმოთქვეს: ფოლკლორული ანსამბლის ხელმძღვანელმა თამარ კობაიძემ, ქედების ზონის კოორდინატორმა კულტურის საკითხებში მაია ყველაშვილმა და მრავალშვილიანმა დედამ ლაურა ბურდულმა.

დასასრულს დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრს, ქვემო ქედის საჯარო სკოლის დირექტორს ნათელა ბუთხუზს, ასევე მოწვეულ სტუმრებს და ქვემო ქედის რწმუნებულს ავთანდილ ხუმარაშვილს ჩვენი გვერდში დგომისთვის.

თამარ კობაიძე

ქვემო ქედის კულტურის სახლი.

გილოცავთ!

ქალთა დღესასწაულები – დედისა და ქალთა საერთაშორისო დღეები გაზაფხულის მოსვლას გვაუწყებენ. ამიტომაცაა, ქალი არის მშვენიერების, სიცოცხლის გაგრძელების სიმბოლო. გილოცავთ ამ ლამაზ თარიღებს ყველა დედას, ყველა ქალბატონს... ქართველი ქალისა და დედის ფენომენზე უამრავი რამ დაწერილა, საქართველოს ისტორია სავსეა ქართველი ქალის გმირული წარსული მაგალითებით... ქართველმა ქალმა დღეს პოლიტიკაშიც დაიკავა თვალსაჩინო ადგილი, რაც პირველი ქალი პრეზიდენტის არჩევითაც დადასტურდა. თუმცა, ქალის მთავარ დანიშნულებად მაინც დედობა რჩება. ქართულ კულტურაში ქალი არასდროს აღიქმებოდა სუსტ, დაუცველ არსებად, პირიქით, ის ყოველთვის იყო ჩვენი ეროვნულობისა და თვითმყოფადობის გარანტი.

გისურვებთ მშვიდობას, ჯანმრთელობას, ბედნიერებას, გახარებას და, რაც ყველაზე მთავარია, სამშობლოსთვის განათლებული და საამაყო შვილების გაზრდას. ყველაზე დიდი ჯილდო მშობლისათვის შვილის წარმატებაა. გისურვებთ, რომ მუდამ ბედნიერები და გახარებულები ყოფილიყავით თქვენი შვილების წინსვლით, შვილებს კი ვუსურვებ, მუდამ ჰქონდეთ უნარი, სითბო და პატივისცემა არ მოაკლონ დედებს, რათა თქვენს სახეზე მუდმივად კიაფობდეს ბედნიერების ღიმილი.

პატივისცემით, ირაკლი შიოლაშვილი,
საქართველოს პარლამენტის წევრი

გაზაფხულთან ერთად თქვენდამი მოძღვნილი დღესასწაულებიც დადგა, ძვირფასო ქალბატონებო.

სიცოცხლის განახლება და გამორჩეული სილამაზე - ყველა ეს სიტყვა ერთნაირად გამკობთ გაზაფხულსაცა და თქვენც, მშვენიერო მანდილოსნებო.

ყველამ ვიცით, რომ დედის დღე პირველად დამოუკიდებელ საქართველოში აღინიშნა, მას შემდეგ კი არც თუ ისე დიდი დრო გავიდა. ამის მიუხედავად, 3 მარტი უცებ გახდა ჩვენი ერის ტრადიციის ნაწილი, დედა - შვილური სიყვრული ხომ ყველაზე ძლიერი, გულწრფელი და წმინდა გრძნობაა.

მშვენიერო, საყვარელო ქალბატონებო, დედებო, გაზაფხულსა და თქვენს ლამაზ დღესასწაულს გილოცავთ. გისურვებთ იყოთ პატრიოტი, წარმატებული შვილების აღმზრდელები და თვითონაც წარმატებულები. მრავალ გაზაფხულს დაესწარით ბედნიერები, ჯანმრთელები, ხალისიანები და ლამაზები. შვილებს კი გისურვებთ, რომ თქვენს საყვარელ დედებს არასოდეს მოჰკლებოდეთ თქვენი ყურადღება, სითბო და თქვენი ბედნიერებით მინიჭებული სიხარული.

უფალი გფარავდეთ.

პატივისცემით, ნიკოლოზ ჯანიაშვილი,
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი

ძვირფასო მანდილოსნებო, ქალთა დღესასწაულებს გილოცავთ.

ყოველთვის განსაკუთრებული დამოკიდებულება და ურთიერთობა მქონდა ჩემი ცხოვრების ქალბატონებთან-დედასთან, მეუღლესთან, ქალიშვილებთან და შვილიშვილებთან, ამიტომაც 3 მარტიცა და 8 მარტიც ჩემთვის მნიშვნელოვანი თარიღებია. არაერთხელ მიხსენებია, რომ დედა დღესაც ძალიან მაკლია და მენატრება. თვით ღვთივკურთხეულ ქართულ ენაშიც კი არ არსებობს სიტყვები, რომელიც დედაჩემის მიმართ ჩემს დამოკიდებულებას აღწერს და ასევე სიტყვები, რომლითაც სათანადოდ შევამკობ შვილების ღირსეულად აღმზრდელ ქალბატონებს.

სახელმწიფოებრიობის განვითარების საქმეში ქართველ ქალს ოდითგან გამორჩეული როლი ჰქონდა და ეს, საბედნიეროდ, მხოლოდ ოცდამეერთე საუკუნის მონაპოვარი არ არის . მე, როგორც ისტორიკოსს, ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან ბევრი არგუმენტის მოყვანა შემიძლია, თუმცა ტრადიციული ქართული იდეოლოგიის გადმოცემა გენიალური შოთას ერთი აფორიზმითაც შეგვიძლია: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“.

კიდევ ერთხელ გილოცავთ თქვენს ულამაზეს დღესასწაულებს, გისურვებთ ყველას ბედნიერ დედობას, წარმატებებსა და დიდ ბედნიერებას.

პატივისცემით,
ნუგზარ პაპიაშვილი,
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქალთა დღესასწაულები მიულოცა

გაზაფხულსა და ქალთა დღესასწაულებს მარტში სულ სხვა ხიბლი აქვს. ახლადგამოღვიძებულ ბუნებაში ყვავილივით იცინის დედამიწა – იების, ყოჩივარდებისა და ფურისულების თვალებით... ამ დღეებში ყველას ახსენდება დედის, ქალის როლი და ღვაწლი, ამიტომაც განსაკუთრებულად გამოხატავენ ყურადღებას და სითბოს მათ მიმართ.

7 მარტს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა ქალთა დღესასწაულები ჯერ მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომელ ქალბატონებს მიულოცა, შემდეგ კი მრავალშვილიან დედას ესტუმრა.

სოფელ ხორნაბუჯში მცხოვრები თამუნა ჩიტაია ჯერ მხოლოდ 30 წლისაა და უკვე 8 შვილის დედაა. მრავალშვილიანი ოჯახი სოციალურად დაუცველია. გაჭირვება მის ყოველდღიურობად ქცეულა, თუმცა, ამის მიუხედავად, თამუნა არ ნანობს, რომ ბევრი შვილი ჰყავს და არც წუწუნებს: „შვილები ყველანაირ გაჭირვებას მავიწყებენ, მათი ღიმილი და ჩახუტება ჩემთვის ბედნიერება და ყველაზე დიდი საჩუქარია“-ამბობს ის, თუმცა, ყურადღება და საჩუქრები მასაც უყვარს და სიამოვნებს.

იმ დღესაც, თვალები გაუბრწყინდა და ბედნიერებიის ნაპერწკლებმა გაუნათა დაღლილი სახე, როცა დედოფლისწყაროს მერმა მას 8 მარტი მიულოცა და სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

გაზეთი „შირაქი“ ულოცავს მას და ყველა ქალბატონს გაზაფხულს და ქალთა დღესასწაულებს. არ მოგშლოდეთ ბედნიერი ღიმილი და სიყვარულით გაცისკროვნებული სახეები!



„ჯეოსელიდან“ – აგროსფეროში

ბიზნესმენმა ოსმან თურანმა, რომელიც საზოგადოების ფართო ფენებისთვის კომპანია „ჯეოსელიდან“ გახდა ცნობილი, მობილური კავშირგაბმულობის ბიზნესიდან აგრარულ სფეროში გადაინაცვლა და დედოფლისწყაროში, კერძოდ კი, ტარიბანაში, 72 ჰექტარზე ზეთისხილის პლანტაცია გააშენა.

6 მარტს ის, პარტნიორებთან ერთად, დედოფლისწყაროს მერს, ნიკოლოზ ჯანიაშვილსა და საკრებულოს თავმჯდომარეს, ნუგზარ პაპიაშვილს შეხვდა.

ბიზნესმენმა დედოფლისწყაროში, ტარიბანის ტერიტორიაზე ზეთისხილის პლანტაცია შარშან გააშენა და სამომავლოდ ინვესტიციის გაფართოებას გეგმავს.

დედოფლისწყაროს ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელების განცხადებით, მათთვის ნებისმიერი ინოვაცია მისასალმებელია და მაქსიმალურად შეეცდებიან, ხელი შეუწყონ ჩვენს მუნიციპალიტეტში ბიზნესის განვითარებას და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას.

„დიდი იმედი გვაქვს, რომ ეს კულტურა დედოფლისწყაროს ეკონომიკაზე პოზიტიურ გავლენას მოახდენს. სამი წლის მერე, როცა პირველ მოსავალს მივიღებთ, ავაშენებთ გადამამუშავებელ ქარხანას და დავასაქმებთ ადგილობრივ მოსახლეობას. ასევე გეტყვით, რომ ჩემი პარტნიორები ერგუნ ათაბაი და შევქეთ დემირი წარმოშობით ქართველები არიან. მათ იციან ქართველობის ფასი და მათთან ერთად დედოფლისწყაროში ბევრ კარგ ქართულ საქმეს გავაკეთებ“–აღნიშნა ოსმან თურანმა.

ბიზნესმენი საქართველოს მოქალაქეა, წლების განმავლობაში ის კომპანია ,,ჯეოსელს“ ხელმძღვანელობდა, ამჟამად კი „თურან აგროს“ უდგას სათავეში.

72 ჰექტარზე გაშენებული ზეთისხილის პლანტაცია ერთი წლისაა. ამ ეტაპზე ზეთისხილის ერთწლიანი ნერგები სპეციალისტებმა შეამოწმეს. როგორც მათ აღნიშნეს, საკმაოდ ჯანმრთელი ნერგებია და მათი ზრდა-განვითარება ნორმალურად მიმდინარეობს. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ტარიბანის მიწები საკმაოდ ნაყოფიერია და ამ მიდგომამ და რისკმა გაამართლა. როგორც ბიზნესმენი ამბობს, მათ დედოფლისწყაროში ზეთისხილის გაშენება გარკვეული ანალიზისა და კვლევების ფონზე გადაწყვიტეს. წარმოშობით ჩვენებურები, რომლებიც ქართულ მიწაზე ქართულ საქმეს არიან შეჭიდებულნი, კვლავ ბევრ სიახლეს პირდებიან დედოფლისწყაროელებს.

ინგა შიოლაშვილი

ღვინო – ჩვენი სავიზიტო ბარათი

საქართველო ღვინის სამშობლოა, ქართული ღვინო კი ქვეყნის კულტურისა და ისტორიის ნაწილი, ჩვენი სავიზიტო ბარათი. ქართულმა ღვინომ მსოფლიო აღიარება დიდი ხნის წინ მოიპოვა.უკვე წლებია, სოფლის მეურნეობის სამინისტრო საერთაშორისო ბაზრებზე აქტიურ მარკეტინგულ ღონისძიებებს ახორციელებს, რომ ქართული ღვინის პოპულარიზაცია კიდევ უფრო გაიზარდოს, მოხდეს ბაზრების დივერსიფიკაცია და ექსპორტის ზრდა. გაზრდილ ინტერესს ღვინის გამოფენა ნათლად ადასტურებს - მონაწილეთა და ვიზიტორთა რიცხვი მასზე ყოველწლიურად იზრდება. ამასთან, გამოფენის პარალელურად ტარდება ღვინის კონკურსიც, რომელსაც ესწრებიან მსოფლიოში ცნობილი ღვინის მაგისტრები და წამყვანი სპეციალისტები, რაც ქართული ღვინის პოპულარიზაციას უწყობს ხელს. ქართული ღვინის ბოლო დღეების წარმატებების და მიღებული ჯილდოების თაობაზე კომენტარი ვთხოვეთ **სოფლის მეურნეობის სამინისტროს ღვინის ეროვნული სააგენტოს პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელს, წარმოშობით ჩვენს თანამემამულეს,** ციცია მამულაშვილს:

– მოგახსენებთ, რომ 2019 წლის იანვარ-თებერვალში საქართველოდან მსოფლიოს 32 ქვეყანაში 12,2 მლნ ბოთლი (0,75 ლ) ღვინოა ექსპორტირებული, რაც 2018 წლის ამავე მაჩვენებელს 13%-ით აღემატება. ექსპორტირებული ღვინის ღირებულება 30 მლნ აშშ დოლარს აღწევს, რაც 2018 წლის ანალოგიურ მონაცემზე 21%-ით მეტია.

ქართული ღვინის გადაზიდვები გაზრდილია როგორც ამერიკის, ისე აზიის, ევროპისა და ტრადიციული ბაზრების მიმართულებით. აღსანიშნავია პოლონეთის ბაზარი, რომელმაც ექსპორტიორი ქვეყნების სიაში მეხუთედან მესამე ადგილზე გადაინაცვლა.

ექსპორტი გაზრდილია ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზრებზე: პოლონეთი - 42% (628022), ჩინეთი - 7% (600783), და აშშ - 1032% (128145); ასევე ევროპის მიმართულებით: ლიეტუვა - 75% (104616), საფრანგეთი - 24% (17406), შვედეთი - 313% (9000), ბულგარეთი - 6% (4500), ტრადიციულ ბაზრებსა და აზიის მიმართულებით: რუსეთი - 17% (8688854), ბელარუსი - 1389% (80394), აზერბაიჯანი - 8% (8814), მონღოლეთი - 189% (66012) და სხვა. ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულია: რუსეთი (8688854), უკრაინა (976482), პოლონეთი (628022), ჩინეთი (600783) და ყაზახეთი (346152). წლის დასაწყისში, სხვადასხვა მოცულობის ღვინის ექსპორტი 115-მა კომპანიამ განახორციელა.

ამასთან, მსოფლიოს 13 ქვეყანაში ექსპორტირებულია 4,2 მლნ ბოთლი

(0,5 ლ) ბრენდი, რაც 89%-ით აღემატება 2018 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. მსოფლიოს 10 ქვეყანაში ექსპორტირებულია 85,4 ათასი ბოთლი (0,5 ლ) ჭაჭა, ექსპორტის ზრდამ 188% შეადგინა.

მთლიანობაში - ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ჩამოსასხმელი ბრენდის და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა 43,6 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა, ხოლო ზრდა 2018 წლის იანვარ-თებერვლის მაჩვენებელთან შედარებით 13%-ს აღწევს.

აქვე მოგახსენებთ, რომ, ორიოდე დღის წინ, იაპონიაში, „საკურას“ კონკურსის უმაღლესი ჯილდო - „ბრილიანტი“ „მეღვინეობა ვაზიანის“ (ხაზი „მაყაშვილის ღვინის მარანი“) ღვინომ „ქისი 2017“ მოიპოვა. აღნიშნული ღვინო მიმდინარე წლის თებერვალში „საკურას“ კონკურსში „ორმაგი ოქროს“ მფლობელი გახდა და კონკურსის წესების თანახმად, წარდგენილი იყო ტოკიოში, კვებისა და სასმელების საერთაშორისო გამოფენაზე „Foodex Japan 2019“ უმაღლესი ჯილდოს - „ბრილიანტის“ (Diamond Trophy) მოსაპოვებლად.

„საკურას“ კონკურსის უმაღლესი ჯილდო „მევენახეობა ვაზიანის“ დირექტორს, ნათია მეტრეველს დღეს ტოკიოში, გამოფენაზე „Foodex Japan 2019“ საზეიმო ვითარებაში გადაეცა.

თებერვალში გამართულ საერთაშორისო კონკურსზე „საკურა“ სხვადასხვა დასახელების ქართულმა ღვინომ 24 ჯილდო - 2 ორმაგი ოქრო, 15 ოქრო და 7 ვერცხლის მედალი მოიპოვა. კონკურსი „საკურა“ (The 6rd „Sakura“ Japan Women's Wine Awards 2019) მასშტაბური ღონისძიებაა, რომელიც წელს მეექვსედ ჩატარდა. მასში 33 ქვეყნის ოთხი ათასზე მეტი სხვადასხვა დასახელების ღვინო იყო წარმოდგენილი. კონკურსის ჟიური დაკომპლექტებულია იაპონიაში ღვინის სფეროში მოღვაწე ქალბატონებით - სომელიეებით, ღვინის მწარმოებლებით და ჟურნალისტებით.

მსგავს პრესტიჟულ კონკურსებში გამარჯვება ხელს შეუწყობს, როგორც კონკრეტული კომპანიის, ასევე, ზოგადად ქართული ღვინის ცნობადობის გაზრდას, პოპულარიზაციასა და დამკვიდრებას იაპონიის მნიშვნელოვან საექსპორტო ბაზარზე, სადაც ღვინის ეროვნული სააგენტო მარკეტინგულ ღონისძიებებს 2014 წლიდან ახორციელებს. იაპონიაში ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ცნობადობის გაზრდის მიზნით, 2019 წლის 10 მარტიდან 7 მაისამდე მასშტაბური პროექტი „საქართველო - ღვინის სამშობლო“ განხორციელდება.

მოამზადა
ელზა ხარაშვილმა

ახალი სახეები მწერალთა ასოციაციის რიგებში

ნინო კაჭკაჭიშვილი, მარიამ ტოხიშვილი და ვახტანგ ტოხიშვილი — ამ სამი ახალგაზრდა პოეტისა და ამავდროულად დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაციის მომავალი წევრების შემოქმედება მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა 5 მარტს საზოგადოებას გააცნო. ისინი ის ახალგაზრდები არიან, რომლებიც ამ ასოციაციის ღირსეული წევრის სტატუსს მიიღებენ და ამაყად შეძლებენ საკუთარი შემოქმედების კიდევ უფრო ფართო საზოგადოებისთვის წარდგენას.

ახალგაზრდა პოეტების უშუალოდ გაცნობამდე, დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაციის თავმჯდომარემ, გიორგი ნატროშვილმა მოკლედ ისაუბრა ასოციაციის დაარსების, მისი განვლილი გზებისა და იმ ადამიანების შესახებ, ვინც ამ წლების განმავლობაში მას სათავეში ედგა: „დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაცია 1996 წელს დაარსდა. მოგეხსენებათ, მაშინ ჩვენს ქვეყანაში არ იყო დალაგებული სიტუაცია და ადვილი არ იყო ამ საქმისთვის თავის მობმა, მაგრამ ჩვენი მეგობრების წყალობით მოხერხდა ამ საქმის მოგვარება. თავიდან ზაქრო სეხნიაშვილი იყო ამ ასოციაციის ხელმძღვანელი 2000 წლამდე, ამ პერიოდში გამოიცა მცირე ლიტერატურული ბროშურა „ლიტერატურული ქიზიყი“, რომლისაც 5 ნომერი გამოვიდა. 2000 წლიდან დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში დალი სულაშვილი გახლდათ ასოციაციის ხელმძღვანელი, 2001 წლიდან აქტიურად 2013 წლამდე ჯუმბერ უთრუთაშვილმა აიღო თავის თავზე ამ ასოციაციის ხელმძღვანელობა. ამ პერიოდში ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი საქმე გაკეთდა. გამოიცა დედოფლისწყაროს შემოქმედთა კრებული „სალბუნის“ 3 ნომერი, სადაც პროზა და პოეზია იყო გაერთიანებული. შემდეგ კი ორი – მხოლოდ პოეტური „სალბუნი“. 2013 წლიდან 2017 წლამდე ასოციაციას ხელმძღვანელობდა ნატო ყატაშვილი. მის პერიოდში გამოიცემოდა დედოფლისწყაროელი ავტორების კრებულები. 2015 წლიდან კი გამოვცემთ ლიტერატურულ ალმანახს „ხორნაბუჯი“, რომელიც დედოფლისწყაროელი და არამარტო დედოფლისწყაროელი ავტორების შემოქმედებას აერთიანებს. ასევე, ვცდილობთ, ახალი ავტორების აღმოჩენას, სპეციალური რუბრიკა გვაქვს „ახალი სახეები“, სადაც ახალი ავტორები იბეჭდებიან. დღეს გვინდა, ჩვენი ასოციაციის პოტენციური წევრები, ახალი ავტორები გავიცნოთ და თქვენც გაგაცნოთ.“

სამივე პოეტმა საკუთარი თავი და სხვადასხვა დროს დაწერილი ლექსები წარუდგინა დამსწრე საზოგადოებას. თითოეული მათგანი საკმაოდ საინტერესო, ღრმა, ემოციური და გრძნობებით სავსე აღმოჩნდა. მათი მოსმენისას აუცილებლად შეიგრძნობდით პოეტის განცდებს და მიზნებს, რისთვისაც და რატომაც ისინი წერენ. ნინო კაჭკაჭიშვილმა წერა საკმაოდ პატარა ასაკიდან დაიწყო, ყოველთვის ცდილობდა, რომ თავისთვის ჩანაწერები გაეკეთებინა: „როდესაც სკოლაში ვსწავლობდი და ლექსის კონკურსი გამოცხადდა, საკმაოდ აფორიაქდნენ ჩემი კლასელები. რატომღაც ჩავთვალე, რომ არ მქონდა ლექსის დაწერის პოტენციალი. ამაზე დედაჩემი ცოტა გამინაწყენდა და მთხოვა, რომ დაჯექი და ლექსი დაწერე კონკურსისთვისო. აღმოჩნდა, რომ იმ ლექსმა კონკურსში გაიმარჯვა. შემდეგ, რატომღაც, აღარ გავაგრძელე ამ კუთხით მოღვაწეობა, იმიტომ, რომ იმ დროს სტიგმასავით იყო ლექსის წერა, ცუდ ტონად მიიჩნეოდა. აღარ ვაფიშირებდი ამას, მაგრამ შემდგომ წლებში, როცა გავიზარდე, ჩემში სხვანაირად წამოვიდა წერის სურვილი. აბიტურიენტი როცა ვიყავი, ძირითადად, მაშინ დავიწყე წერა, მეცადინეობისას. უნდა ითქვას, რომ მუზა მომერია.“

მარიამი ქვემო ქედის საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეა. მის ლექსებში პატრიოტული სულისკვეთება, მოფერება, სითბო და მონატრება იგრძნობა. „ჩვენთვის, ქედელებისთვის, ყოველდღიურობაა ლექსიც, სიმღერაც, კაფიაობაც. რა თქმა უნდა, მეც ამ გზას მივდევ. პირველი ლექსი დაახლოებით 12 წლის ვიყავი, როცა დავწერე. პირველად რომ გავრითმე, ძალიან გამიხარდა, მეცხრე ცაზე ვიყავი. შემდეგ უკვე ჩვენი ქვეყნის წარსულის და დღევანდელობის შემხედვარემ, პატრიოტული სულისკვეთებით, დავხვეწე ჩემი ლექსები. დღესაც ვწერ.“

ვახტანგიც ქვემო ქედის საჯარო სკოლაში სწავლობს. ამჯერად მერვე კლასშია. ვახტანგის ლექსებში სიყვარული პირველ ადგილზეა. მისთვის მუზა სიყვარული გახდა და წერს კიდეც მასზე. ის ისეთ გარემოში დაიბადა, სადაც ყველა თუ არა, ყოველი მეორე ლექსს წერს და ამაყობენ იმით, რომ ქედელები არიან. ლექსების წერა 11 წლის ასაკში დაიწყო. მისი პირველი ლექსი სიყვარულს ეხებოდა, რომლის გარეშეც დედამიწაზე არაფერი ხდება. „ყოველი ჩემი ლექსი სიყვარულზეა დაწერილი. სიყვარული გახდა მუზა.“ — ამბობს ის.

ღონისძიების დასასრულს, ახალგაზრდა პოეტებს თავიანთი ლექსებით გზა დაულოცეს და წინსვლა უსურვეს თამაზ წიკლაურმა, ჯუმბერ უთრუთაშვილმა, ლევან ალავერდაშვილმა და ასოციაციის თავმჯდომარემ გიორგი ნატროშვილმა. „მე რაც მოვისმინე, იმის მიხედვით, ნათელია, რომ ადამიანები ლექსით სუნთქავენ და ცდილობენ, ამ მიმართულებით წინ და წინ იარონ. ასოციაციის წევრები დამეთანხმებიან, რომ ძალიან კარგი იქნება ახალი წევრების შემომატება ჩვენს რიგებში.“ — აღნიშნა ასოციაციის თავმჯდომარემ გიორგი ნატროშვილმა. მილოცვას შეუერთდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ეთერ ზურიკაშვილი: „იმდენად აღფრთოვანებული და კმაყოფილი ვარ, რომ ეს სიხარული როგორ გამოვხატო, არ ვიცი. ძალიან კმაყოფილი ვარ, მიხარია, რომ თქვენს შემოქმედებით ჯგუფში მიიღეთ ასეთი ახალგაზრდები. გზა მინდა დავულოცო ნინო კაჭკაჭიშვილს და მარიამ და ვახტანგ ტოხიშვილებს. ძალიან მეამაყებით.“

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

იმერეთის ქიზიყელი მიტროპოლიტი

28 თებერვალი მიტროპოლიტ გიორგი ალადაშვილის გარდაცვალების დღეა. შესაძლოა, ბევრისთვის უცნობია იმერეთის მიტროპოლიტის ცხოვრება და მოღვაწეობა, თუმცა, დედოფლისწყაროელებისთვის და უფრო თუ დავკონკრეტდებით, სოფელ არბოშიკის მაცხოვრებლებისთვის ის ნაცნობი, ძვირფასი და საამაყო ადამიანია. მას არაერთი კეთილი და სამშობლოსთვის სასარგებლო საქმე აქვს გაკეთებული, რომლის დავიწყებაც, უნდა ითქვას , რომ „დანაშაულია“. თუ რატომ, ამას სტატიაში შეიტყობთ.

დავით ალადაშვილი 1850 წლის 8 დეკემბერს ქიზიყში, სიღნაღის მაზრის სოფელ არბოშიკში, მღვდლის ოჯახში დაიბადა. დავითის პაპა ადამ ალადაშვილიც მღვდელი ყოფილა. 10 წლის დავითი ნუხის სამოქალაქო სკოლაში მიაბარეს, სადაც მან ერთი წელი ისწავლა. 1865 წელს ის თბილისში გადაიყვანეს და სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს, ხოლო 1869 წლიდან სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში გააგრძელა, რომელიც 1875 წელს პირველი ხარისხის დიპლომით დაასრულა. ამავე წელს ის თბილისის სასულიერო სასწავლებელში უმაღლესი განყოფილების მოსამზადებელი კლასების მასწავლებლად დაინიშნა, 1876 წელს კი მართლწერის გაკვეთილების მასწავლებლად გადაიყვანეს და სასწავლებლის ზედამხედველად გაამწესეს. იგი, პარალელურად, გეოგრაფიასა და არითმეტიკასაც ასწავლიდა. ერთი წლის შემდეგ, სასწავლებლის ეკონომოსად დაინიშნა და ამავე წლის 1 დეკემბერს ზედამხედველის თანამდებობა დატოვა.

1879 წელს დავითმა სწავლა კიევის სასულიერო აკადემიაში გააგრძელა, რომელიც 1883 წელს ღვთისმეტყველების მაგისტრის წოდებით დაამთავრა და სამშობლოში დაბრუნდა. 1884 წელს ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში ქართული ენის მასწავლებლად დანიშნულ დავითს სასწავლებლის ზედამხედველობაც ჩააბარეს. სულ მალე სასწავლებლის მმართველ კომიტეტში შეიყვანეს და პირველი სექტემბრიდან პირველ და მეორე კლასებში მართლწერის გაკვეთილების მასწავლებლად დაადგინეს. 1885 წელს ის სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის თანაშემწედ გადაიყვანეს. 1886 წლიდან კი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ნამდვილი წევრი გახლდა და აქტიურად იყო ჩაბმული საზოგადოების მუშაობაში.

1898 წელს დავითს “სტატსკი სოვეტნიკის” წოდება მიანიჭეს და დროებით სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა. 1899 წელს, სასწავლებელში თოთხმეტწლიან მოღვაწეობასთან დაკავშირებით, წმინდა ანას III ხარისხის კავალერის ორდენით დაჯილდოვდა და სასწავლებლის ზედამხედველად დაამტკიცეს.

1899 წლის 25 სექტემბერს დავით ალადაშვილი ბერად აღიკვეცა და სახელად გიორგი ეწოდა. აი, რას წერდა ანტონ ნატროშვილი მისი აღკვეცის გამო: „თავგანწირულობამა და მტკიცე რწმენამ უზენაესის მიმართ იძულებულ ჰყო, ბერად აღკვეცილიყო პატივცემული დავით ალადაშვილი. იგი აღიკვეცა 25-ს ამა თვისას თბილისის სასულიერო სემინარიის ეკლესიაში და სახელად ეწოდა გიორგი (მამის სახელია). თუმცა, იგი ჯერ 50 წლისაა, მაგრამ ღრმად მოხუცებულს მოგაგონებთ. სჩანს, არა ერთი ვარამი მოხვედრია მის გულს, არა ერთი მედგარი დასტეხია მას თავზედ. მთლად თმა გათეთრებული, დამჯდარის, დალაგებულის ხასიათის პატრონი, გამბედავი და მამაცი, გეგონებათ იგი დიდი ხნის დახელოვნებული მონაზონიაო”. 1899 წლის 26 სექტემბერს ბერი გიორგი დიაკვნად აკურთხეს, ხოლო ამავე წლის 1 ოქტომბერს მღვდლად დაასხეს ხელი და მალევე არქიმანდრიტის წოდება მიანიჭეს.

1900 წელს არქიმანდრიტ გიორგის, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს ალექსანდრეს (ოქროპირიძე) ლოცვა-კურთხევით, თეკლათის დედათა მონასტერში ქალთა სამრევლო-საეკლესიო სკოლის მშენებლობის მეთვალყურეობა დაევალა. 1902 წელს საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრად და გარეჯის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა. ამავე წელს მამა გიორგი წმინდა ანას II ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. ის ჯერ სინოდალური კანტორის შენობის სარემონტო კომისიის თავჯდომარედ დაადგინეს, ხოლო შემდეგ ღარიბი სასულიერო პირების ოჯახებზე მზრუნველი კომიტეტის თავჯდომარედ აირჩიეს. ამავე წლის 27 ივნისს არქიმანდრიტი გიორგი სასულიერო ჟურნალ “მწყემსის” ცენზორად, ხოლო 24 აგვისტოს ქართული “მარხვანის” შემსწორებელი კომისიის ჯგუფში კორექტორად დანიშნეს.

1903 წლიდან 1905 წლამდე ბევრი მოვლენა მოხდა მის ცხოვრებაში: ჯერ სასულიერო სემინარიის ახალი შენობის აგების სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ დანიშნეს, ამას მოჰყვა საქართველოს საეგზარქოსოს სამხარეო სასწავლებლის კომიტეტის წევრად დანიშვნა, ასევე საეკლესიო მუზეუმის თავმჯდომარეობა, წმ.ვლადიმირის IV ხარისხის ორდენი და სინოდის მიერ მღვდელმთავრად გამორჩევა, 1905 წელს სიონის საეპიკოპოსო ტაძარში ეპისკოპოსად ხელდასხმა და გურია-სამეგრელოს ეპარქიის მმართველად გამწესება.

1908 წელს ეპისკოპოსი გიორგი წმინდა ვლადიმერის III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა და იმერეთის კათედრაზე გადაიყვანეს. ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მწერალი ზაქარია ჭიჭინაძე მეუფე გიორგის შესახებ წერდა: „ყოვლადსამღვდელო გიორგის მოქმედება და მართვა-გამგეობა არის მშვიდი და წყნარი, საქმის ახმაურება და აფორიაქება ამას არაფრად მიაჩნია, ამიტომაც ყოველთვის თავის სამწყსოში წყნარად და უჩინრად მოქმედებს და ყველას წინაშეც იმას სცდილობს და ემსახურება, რომ ყოველთვის მშვიდობით და სიყვარულით შესრულდეს ყველაფერი. ყოვლადსამღვდელო გიორგის ცდა ყოველთვის იქითკენ არის მიმართული, რომ იმერეთის სამღვდელოებას ემსახუროს კეთილად და უვნებლად. ფრთხილია ყველაფერში, ვინაიდგან ჩვენს დროში, დაკარგვა რამის ადვილია და პოვნა კი ერთობ ძნელი. ამის მაგალითები ბევრი გვაქვს ჩვენს ცხოვრებაში, იტყვის ხოლმე ყოვლადსამღვდელო: მთელი საუკუნის განმავლობაში ქართველი ერი სულ დაკარგვის გზაზედ იდგა და შეძენით კი ვერას იძენდა. შეიძლება ზოგიერთებისათვის ყოვლადსამღვდელოს ასეთი სიწყნარე და სიფრთხილე არ არის მოსაწონი, ვინ იცის, ესეც შეიძლება, მაგრამ რა გაეწყობა, ეს გარემოება არ არის დასაწუნი”.

1908 წელს ეპისკოპოსი გიორგი გელათის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა და წმინდა ანას I ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა,ხოლო 1915 წელს წმინდა ვლადიმერის II ხარისხის ორდენი მიიღო. მანამდე, 1912 წელს, ქუთაისში საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება



დაარსდა. აღნიშნული საზოგადოების მიზანი მუზეუმის დაარსება იყო. დაიწყეს სამუზეუმო ექსპონატების მოძიება და შეგროვება. თუმცა, ამისათვის სახსრები იყო საჭირო, რაც მუზეუმს არ გააჩნდა. მეუფე გიორგიმ, 1916 წლის დეკემბერში, იმერეთის სამღვდელოების ყრილობაზე, ექსპონატების შესაძენად 554 მანეთი გამოყო. თუ გავითვალისწინებთ მომავალ ანტირელიგიურ კამპანიას საქართველოში და კერძოდ იმერეთის ეპარქიაში, როდესაც მრავალი სიწმინდე და საეკლესიო ნივთი განადგურდა, ამით მღვდელმთავარმა სიწმინდეები გადაარჩინა.

1917 წლის 12 მარტს (ძვ. სტილით) ეპისკოპოსი გიორგი მონაწილეობდა სვეტიცხოვლის თორმეტი მოციქულის სახელობის საპატრიარქო ტაძარში ჩატარებულ წირვაში, რომლის დროსაც აღდგა ქართული სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია. საყურადღებოა, რომ ავტოკეფალიის აღდგენის აქტზე, რომელიც საქართველოს საპატრიარქოს არქივშია დაცული, პირველი ხელმოწერა სწორედ იმერეთის ეპისკოპოსს ეკუთვნის. საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა ბოლომდე მაინც არ ენდობოდა ეპისკოპოს გიორგის, რადგან ის შედარებით ფრთხილ პოლიტიკას ატარებდა რუსების მიმართ, ამიტომ 1917 წლის 8-17 სექტემბრის საქართველოს ავტოკეფალური სამოციქულო ეკლესიის პირველ კრებაზე იგი იმერეთის ეპარქიის მმართველობიდან გადააყენეს და დროებით ეპარქიის გარეშე დატოვეს. 1918-1919 წლებში ეპისკოპოსი წილკნის ეპარქიის მმართველად, ხოლო 1920 წელს ჭყონდიდისა და ბათუმ-შემოქმედის ეპარქიის მმართველად გადაიყვანეს და მიტროპოლიტის წოდება მიანიჭეს.

1921 წლის 20 სექტემბერს, თავისი თხოვნის საფუძველზე, მეუფე გიორგი გათავისუფლდა ეპარქიის მმართველობიდან და პენსიაზე გავიდა. 1922 წელს ის ხირსის წმინდა სტეფანეს სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა და იმავე წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ (ხელაია) ეკლესიაში ერთგული სამსახურისთვის სკუფიაზე ჯვრის ტარების უფლებით დააჯილდოვა. პ. კარბელაშვილის ცნობით, როდესაც უწმინდესი ამბროსი (ხელაია) დაპატიმრებული იყო, მიტროპოლიტ გიორგის პატრიარქობა შესთავაზეს, რაზედაც მან სიმდაბლით უარი განაცხადა. XX საუკუნის 20-იანი წლების საქართველოში, ბოლშევიკურმა საოკუპაციო ხელისუფლებამ საქართველოს ეკლესია კანონგარეშე ორგანიზაციად გამოაცხადა, დაიწყო სასულიერო პირების დევნა. 1924 წელს კომუნისტებმა ხირსის მონასტერი დაარბიეს და მხცოვანი მიტროპოლიტი იძულებული გახდა, მშობლიურ სოფელ არბოშიკს შეჰკედლებოდა.

1925 წლის 28 თებერვალს მეუფე გიორგი ალადაშვილი გარდაიცვალა, დაკრძალეს სოფელ არბოშიკის წმინდა კვირიკესა და ივლიტას სახელობის ეკლესიის გალავანში, დაკრძალვას მხოლოდ ნათესავები და ახლობლები დაესწრნენ, თბილისიდან ვერავინ ჩავიდა განსვენებული მიტროპოლიტის პატივის მისაგებად. ამ დროს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი (ხელაია) და საკათალიკოსო საბჭოს წევრების უმრავლესობა მეტეხის ციხეში ისხდნენ.

მიტროპოლიტი გიორგი განსაკუთრებული ორგანიზებულობითა და დახვეწილი, მტკიცე მმართველობით გამოირჩეოდა როგორც საეკლესიო, ისე პოლიტიკურ საკითხებში. მისი თანამედროვენი მას “ბისმარკადაც” მოიხსენიებდნენ. დღევანდელი თაობა უნდა იცნობდეს იმერეთის ქიზიყელ მიტროპოლიტს, რომელიც იდგა იქ, სადაც მის ქვეყანას სჭირდებოდა, იდგა მყარად და რწმენით.

P.S მასალა მომზადებულია karibche.ambebi.ge-სა და საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მასალებზე დაყრდნობით.

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

ქალი— დედა, ქალი — ლეგენდა!

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურის სახლში ქალთა დღესასწაულებისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა ადგილობრივმა შემოქმედებითმა კოლექტივებმა და ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა მიიღეს.

კონცერტი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ორგანიზებით ჩატარდა.

„ეს ჩემგან დანახული და ნაგრძნობი ცხოვრებაა“



ჩვენი რაიონის ლიტერატორ ავტორთა შორის ერთი ახალი სახელი გამოჩნდა – ხოშატი ლამაზოშვილი. გამოვიდა მისი წიგნი „ჩემი გზა“, რომელიც უაღრესად საინტერესოდ იკითხება, რადგან ხოშატი, რომელიც, როგორც წიგნის რედაქტორი გიორგი ნატროშვილი ამბობს შესავალში, „ხალასი ქიზიყელი ბერიკაცია, ნაჭარმაგევი, ქვეყნისა და ოჯახის წინაშე ვალმოხდილი“. სწორედ მის მიერ განვლილი გზის აღწერას ეძღვნება წიგნის პირველი ნაწილი. ეს არის ავტობიოგრაფიული ხასიათის ვრცელი წერილი, სადაც ავტორი ბავშობიდან სიბერემდე იხსენებს იმ განცდებს, სიხარულსა თუ მწუხარებას, რომელიც თან სდევდა, აღწერს და მიმოიხილავს იმ მოვლენებს, რომელიც გასდევდა მის ცხოვრებას. ეს არის ძალიან საინტერესო, თითქოს მარტივად დაწერილი ფიქრები ერთი ცხოვრებისეულ სიბრძნეს ნაზიარები კაცისა, რომელმაც საკუთარ თავზე გადაიტანა მისი ბედის ტრიალი და გაისიგრძეგანა მამულის წარსული, აწმყო და მომავალი.

წიგნის მეორე ნაწილს შეადგენს ლექსები, რომელსაც ბავშობიდან წერდა, მაგრამ გამოქვეყნების სურვილი სიჭარმაგეში გაუჩნდა. აი, რას წერს იგი: „წიგნი იბეჭდება მცირე ტირაჟით და განკუთვნილია სანათესაო-სამეგობრო ოჯახებისთვის და სანაცნობო წრისთვის, საჩუქრის სახით. მას პოეზიისა და ხელოვნების მარათონში მონაწილეობის პრეტენზია არ გააჩნია. უბრალოდ, ჩემი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე დაკვირვების შედეგად შექმნილი აზრი და შთაბეჭდილებები ცხოვრებაზე ლექსებში გამოვხატე, რადგან ლექსად უფრო მოკლედ ითქმის გრძელი სათქმელი და უფრო ლამაზად.

ლექსებს ბავშვობიდან ვწერდი. ლექსის სიყვარული და შექმნის უნარი მამისა და პაპისგან გამომყვა. პაპაჩემი, ბასა, ლექსების გამომთქმელად იყო ცნობილი. მისი ლექსები ზეპირად იცოდა ძველმა ხალხმა და ფანდურზე მღეროდნენ ჩვენსა თუ მეზობელ სოფლებში. მამაჩემი, ილო, გლეხი პოეტი იყო. მისი ლექსები შეტანილია შალვა ღლონტის მიერ გამოცემულ „ქიზიყის პოეტურ ფოლკლორში“. ასევე არის ქართული პოეზიის მეთერთმეტე ტომში.

როგორც აღვნიშნე, მეც ბავშვობიდან ვწერდი, მაგრამ გამოქვეყნების სურვილი არასოდეს გამჩენია და მხოლოდ საახლობლო წრისთვის იყო ცნობილი.

ახალგაზრდული ლექსები შორიდან დანახული ცხოვრება იყო. ღრუბლებიდან და ფანტაზიის სამყაროდან გამობრწყინებული, ამიტომ ეს ყველაფერი ქარს გავატანე.

ახლა, სიბერეში, როცა ცხოვრება მთელი სიგრძე-სიგანით კარგად დავინახე, ყველაფერი ახლოდან, ხელის შეხებით გავსინჯე და პირადად დავაგემოვნე მისი სიტკბო და სიმწარე, ჩემი აზრი ჩამომიყალიბდა, ბევრი რამ სულ სხვანაირად აღვიქვი, გადავაფასე და უბრალო ენით, ყოველგვარი ვარაყის გარეშე, ლექსებად ვთქვი ჩემგან დანახული და ნაგრძნობი ცხოვრება.

ხოშატი ლამაზოშვილი დაიბადა სოფელ არბოშიკში 1933 წელს „ ჩემი ბავშვობა რთულ პერიოდს დაემთხვა, რევოლუცია ახალი ჩაწყნარებული იყო და ქვეყანაში ახალი წეს-წყობილება ინერგებოდა. კოლექტივიზაციას მოეცვა ქვეყანა, გააფთრებული ბრძოლა მიდიოდა ძველსა და ახალს შორის“, - წერს იგი. მამა – ილო ლამაზოშვილი მეორე მსოფლიო ომში პირველი დღეებიდანვე, საკუთარი ინიციატივით, ჩაება და უკან არც დაბრუნებულა. ერთადერთი შვილის გაზრდას შეალია სიცოცხლე დედამისმა ტასო გოგაშვილმა. ხოშატი პროფესიით მოქანდაკეა, სამხატვრო აკადემიაში იმედის გაცრუების შემდეგ მან დაამთავრა იაკობ ნიკოლაძის სახელობის ხელოვნების სასწავლებელი. მისი პირველი პროფესიული ნამუშევარი ზემო ქედის საშუალო სკოლაში მუშაობის დროს შექმნილი ვაჟა- ფშაველას ბიუსტი იყო, რომელიც ბეტონის კონსტრუქციას წარმოადგენდა და დრო-ჟამს ვერ გაუძლო. მის ხელს ეკუთვნის მშობლიური სოფლის სკოლის ეზოში ჯარისკაცი პოეტის დავით პატატიშვილის ბრინჯაოს ბიუსტი, ასევე სოფელ მირზაანის შინმოუსვლელთა მემორიალი, სადაც ერთ მხარეს მოზაიკური პანო დააყენა, წინა ფასადი კი შეამკო თაღებში ჩასმული მწუხარე დედის გორელიეფით. შემოქმედებით საქმიანობასთან ერთად მან ბევრ სხვადასხვა ადგილზე იმუშავა და სულ წარმატებული იყო. მათ შორის არბოშიკის საკოლმეურნეო მრავალტირაჟიანი გაზეთის „წითელი არბოშიკის“ რედაქტორიც გახლდათ წლების განმავლობაში. ისე რომ, ხელოვნებასთან ერთად, სიტყვასთან ჭიდილიც გამოსცადა. ზემო ქედის სკოლაში მუშაობისას გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე ზინაიდა ლობჟანიძე, რომელიც იქ რუსულ ენას ასწავლიდა. მერე დედოფლისწყაროში დაფუძნდნენ, აიშენეს თბილი კერა და სამი ქალიშვილი – ანა, თამარი და ქეთევანი გაზარდეს, განათლებული და ზრდილი ადამიანები. ჰყავს შვილიშვილები. მარიამი, სოსო, ნუცა და სოფიო, რომელთა სიყვარულითაც ტკბება სიბერეში ხოშატი პაპა.



წიგნს დართული აქვს მეტად საინტერესო ნაწილი - **„ლამაზოშვილების საგვარეულო ხე“**. საარქივო მასალებით მტკიცდება, რომ ლამაზოშვილები მეთექვსმეტე საუკუნის ბოლოს და მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისიდან არბოშიკის ძირძველი მაცხოვრებლები იყვნენ. ჰქონიათ საგვარეულო ციხე- კოშკი, ვენახები და ქვევრ-მარანი. 1724 წელს მეფე კონსტატინეს მიერ ბოძებულ სიგელში ვკითხულობთ: „დიდად ნამსახურსა და ერთგულს ქიზიყელს პაპუნა ლამაზოშვილს და მისი შვილების პაატასა და დემურისთვის, მათი განაყოფების- ხუციას, შავერდისა და მამუკას ბეითალმანი (უპატრონო) მამულების ჩუქებისა თავის სახნავითა, სათესით, წყლითა და წისქვილითა ყოველის კაცის უცილობლად სამარადჟამოდ“. 1738 წელს მეფე თეიმურაზ მეორეს პაატა ლამაზოშვილის და მისი ძმისშვილებისათვის, რამაზისთვის, ომანისთვის და ბეჟანისთვის უბოძებია ქურუხაშვილების ყაზახს ნაქონი ბეითალმანი მამულები ყოვლის კაცის უცილობლად. ხოლო თუ პატრონი გამოჩნდეს, ისევ მას მიეცეს. ამავე სიგელზე 1748 წელს გაკეთებული აქვს მინაწერი მეფე ერეკლე მეორეს: „ ვამტკიცებთ წიგნსა ამას რაგვარადაც ბატონ მამასა ჩვენსა წყალობა უქნია ბეჟანის შვილისათვის – ასლანისათვის და შენის მამის შეყრილის ნიკოლასთვის ჩვენც ხელახლა წყალობა გვიქნია“. დამტკიცებულია როგორც თეიმურაზ მეორის, ასევე ერეკლე მეორის ბეჭდით. ამ მოვლენებიდან მოყოლებული დიდი ძალისხმევა დასჭირდა ხოშატს, რომ დღევანდლამდე აღედგინა და შეეკვსო ლამაზოშვილების საგვარეული ხე, რომელიც უაღრესად საინტერესოა და მთავრდება ორი სიტყვით: „ღმერთმა გაამრავლოთ!“ „ამინ“, ვიტყვით ჩვენც. ბატონი ხოშატის ეს საქციელი მისაბაძია ყველა გვარისათვის.

გულდასაწყვეტია, რომ ეს მშვენიერი და საინტერესო წიგნი მცირე ტირაჟით გამოვიდა, არსად იყიდება და მსურველებს არ აქვთ საშუალება, გაეცნონ მას. მე მქონდა ეს ბედნიერება და ძალიან კმაყოფილი ვარ, ბევრი ნააზრევი და ლექსის შინაარსი დაემთხვა ჩემსას. წიგნის გამოსვლამდე ხოშატმა, როგორც ძველ თანამშრომელს და კოლეგას, მთხოვა, მესწავლებინა გზა წიგნის დაბეჭდვისაკენ. სიმართლე გითხრათ, გამიკვირდა კიდეც, რადგან ის თავის ლექსებს პერიოდულ პრესაში არასდროს აქვეყნებდა და ჩემთვის უცნობი იყო. ასეთს, ნამდვილად არ ველოდი. თუმცა, თავად პოეტობის დიდი პრეტენზია არ გააჩნია. ერთ-ერთ თავის ლექსში „თუ არ გადავხტი“ წერს: ყველა გალაქტიონი და ლეონიძე ვერ იქნება, მაგრამ მკითხველი და დამფასებელი მის ლექსებსაც შეიძლება გამოუჩნდეს:

„.. მწვადიც რომ მოგეწონება, ოქნებ გადასწვდე ბოლოს
და ყველა საჭმელს მსურველი გამოუჩნდება ბოლოს,
ჩემი ლექსითაც იქნება ვინმემ სიამე ნახოს,
მოერგოს მის გემოვნებას, გულთან მივიდეს ახლოს.
მეტსაც არ ვითხოვ: შეძლება, რაც მქონდა, ყველა
თუკი ანათებს, არ ვჩივი, ძლიერ თუ არა ელავს“.

ხოშატი, როგორც კარგი ქართველი და ღირსეული ადამიანი, მართლაც რომ, ელავს, ხოლო მისი ლექსებიდან გამომსხლტარი ნაპერწკლები თუ რა ცეცხლს ანთებენ ადამიანთა გულებში, ამის განსჯა მკითხელისათვის დაგვითმია.

ნაირა გორგაშვილი

ამ ამონარიდებით მინდა,ბატონი ხოშატის ფიქრებსა და ოცნებებში ჩაგახედოთ:

● სიცოცხლე ისეთი ფენომენია, რომლის შეცნობაც ადამიანის გონებას არ შეუძლია. სიცოცხლე ძნელი დასათმობია და სიკვდილი რაღაც უჩვეულო შიშის გრძნობას იწვევს. ალბათ, სიბერეც იმიტომ მოუგონია, რომ უძლურების გამო თავი მოგძულდეს და ადვილად გადაიტანო მზიანი ქვეყნის დათმობა, მაგრამ მაინც ჭირს.

● არც სიბერე ყოფილა ადვილი გადასატანი, რადგან გული გერჩის ჩვეულებრივ, შრომის ძალა კი აღარ შეგწევს. სიარული გიჭირს, ტკივილები გაწუხებს და რომ ვეღარ საქმიანობ, დრო საშინლად იწელება. თავი კი გძულს, მაგრამ შენი შვილები და შვილიშვილები არ გეთმობიან, გინდა, მათ უცქირო და მათით ხარობდე. ეს ისეთი გრძნობაა, რომელიც შენგან დამოუკიდებლად არსებობს შენში და შენ არაფერს გეკითხება.

● ცხოვრებამ დამარწმუნა, რომ სამყარო ფერწერული ტილო არ არის, რომელსაც მხოლოდ ერთი მხრიდან უნდა შეხედო, ის ქანდაკებაა, რომელსაც გარშემო უნდა შემოუარო და ყველა მხრიდან შეხედო და შეაფასო.

● ბოლოს ასეთ დასკვნამდე მივედი: შენ თუ გინდ ღმერთი უწოდე, თუნდ ბუნების ძალა, არსებობს რაღაც ისეთი, რომელიც მართავს სამყაროს და განაგებს მთლიანად თვალით ხილულს თუ თვალთუხილავს. ადამიანს, ძირითადად, არაფრის შეცვლა არ შეუძლია, თუ არა ის, უმნიშვნელო რამეები, რომელიც დიდ გავლენას ვერ მოახდენს საერთო დინებაზე.

● თუ შენზე ძლიერ კაცს სილას გააწნავ, რატომ არ ფიქრობ, რომ სილაქსაც დაგიბრუნებს და უკანიდან წიხლსაც მოგაყოლებს?!

● მე პოლიტიკოსი არ ვარ, მაგრამ, რადგან ოჯახი მაქვს, ოჯახი იგივე პატარა სახელმწიფოა. ყველა ოჯახს აქვს, როგორც საშინაო, ისე საგარეო საკითხები, ეკონომიკაც საზრუნავია. თუ კი ცოლი და ქმარი ყოველდღიურად ჩხუბობენ, ვერ გაუყვიათ უფლება-მოვალეობანი, არც ერთიმეორეს ეთანხმებიან, ასეთი ოჯახი ვერასოდეს გაძლიერდება და არც ნორმალური მომავალი თაობა ეყოლება.

● გასაკვირია, განსაკუთრებით ჩვენ, ქართველები, რატომ ვხედავთ იმ წარსულში (იგულისხმება სოციალიზმი) მხოლოდ უარყოფითს და სიკეთეზე თვალს ვხუჭავთ. გველის შხამს სამკურნალოდ იყენებენ და იქ სასიკეთო ვერაფერი დავინახეთ?! იმ დროს, როდესაც მთელი მსოფლიო იბრძოდა ფაშიზმის წინააღმდეგ, ჩვენ ამ ბრძოლებში დაცემულებს სხვა ქვეყნის ინტერესებისთვის დაღუპულებად ვაცხადებთ და პატივს არ ვცემთ, მათ სადიდებლად აგებულ მემორიალებს არ ვუვლით, რატომ გვგონია, რომ ვისაც ახლა ვაფასებთ და ვადიდებთ, მომავალი თაობა იმას ტალახში არ ამოსვრის, რადგან ჩვენ ასე ვექცევით წარსულს, რატომ გვაქვს ასეთი ზნე, სახლის ჭერი რომ დაზიანდეს, სახლს მთლიანად ვანგრევთ, როცა აშენების გეგმა არ გვაქვს? როგორ შეიძლება, ვინც შენ გაგზარდა და განათლება მოგვცა, მიწასთან გაასწორო და მხოლოდ შენი თავი მიგაჩნდეს მოაზროვნედ?

● მე ახლა მოხუცი ვარ და ცას ხომ არ შევაბერდები, წავალ, მაგრამ მათი ჯავრი და წუხილი მიმყვება, ვისაც ამ მძიმე პერიოდში უწევთ ცხოვრება. იცლება ჩემი ქვეყანა ქართველებისაგან... ზოგი იმით ინუგეშებს თავს, რომ ბევჯერ ყოფილა ასეთი მძიმე მომენტები და გადავრჩენილვართო, მაგრამ კოკას წყალი ყოველთვის არ მოაქვს და მე არ მინდა, რომ ეს კოკა გატყდეს. მინდა, შევინახოთ ის უსაფრთხოდ და მუდმივად მთელი იყოს. მინდა, მჯეროდეს, რომ ღმერთი ნამდვილად დაიფარავს ჩემს ქვეყანასაც და არ დაუშვებს სამყაროს განადგურებას, რისი საფრთხეც დღეს თავზე დაგვტრიალებს.

პოეტი არ ვარ

ბოეტი არ ვარ, ისე, უბრალოდ
სიტყვის თამაშში ვერთობი ფიქრით,
თვითონ იქმნება ჯერ სტრიქონები,
რომელსაც მერე გავაწყობ რითმით.
მოჰყვება მერე სტრიქონს სტრიქონი,
ჟინიც ძატულობს, ხალისიც მოდის,
აიკინძება ძაფზე ემივივით,
ვეღარც ვიგონებ, დავწერე როდის.
ამ გართობაზე დროც სწრაფად
გადის,
ისვენებს თავი, მშვიდდება გული
და ბოლოს, როცა გადავიკითხავ,
შემრჩება ლექსი, ვით სასწაული.

შეინახე ჩემი ლექსი

შეინახე ჩემი ლექსი,
ვით ლარნაკში ყვავილი,
უწილადე გულის სითბო,
როცა ახლოს გაიყლი.
წაიკითხავ, აგეშლება
ძველისძველი ფიქრები
მეც კეთილად მომიგონებ,
როცა აღარ ვიქნები.

სიბერე

ვაი, წელი, ვაი, გული,
ემდურები მუხლებს,
ტკივილს ადგომ-დაჯდომაში
უკვე ვეღარ უძლებ.
უგბილებოდ ჰირში ლუკმას
დაუღეჭავს ულაჰავ,
ჭიქა ღვინის მოუდება
უკვე გიჭირს, ჰაჰავ.
საქმე ბევრი, ძალა აღარ,
მაინც გერჩის გული,
გვენანება ძვირფასი დრო
უქმად დაკარგული.
ეჰეჰეი, რომელი ხარ?
კარგად ვერა გხედავ,
ის ქორული მხედველობა
სად წავიდა, ნეტავ?
შვილიშვილთა სახელები
ზოგჯერ გვავიწყდება,
ცოდნის ბეღელს წვიმა დასდის,
იშლება და დნება.
სიჯეილის ოქროს ხანას,
შორ-შორს სადღაც ხედავ,
გაჰეოლია ჩამავალ მზეს,
გადამჯდარა ზედა.
გახსენდება მასთან ერთად
გალეული წლები.
ხარობ მისი მოგონებით
კვლავაც მისით ტკბები.
აქაც იყავ, იქაც იყავ,
სჯირდებოდი ყველას
და ებრძოდი ამ ცხოვრების
დინებათა ღელვას.
ახლა, ხელჯოხს დაყრდობიხარ
და ტაატით დახვალ,
ელოდები, დღეს ან ხვალე
მოკვდები და წახვალ.

ია

ბუჩქის ძირში შემალული,
იღიმება ნაზად ია,
ფეხით რომ არ გადათელონ,
ბუჩქი საფრად გაუხდია.
იქნებ მისი ოცნებაა,
როგორც მუხა გაზრდილიყო,
ან ყვავილად გადაშლილი,
მაღლა ცისკენ აჯრილიყო.
ვერ გათელდა ფეხით ვინმე,
ვერც შეჯამდა საქონელი,
ვერც ყვავილებს ნაადრევად
დაუჭკნობდა სიცხე მწველი.
მაგრამ ღმერთმა როცა შექმნა
ეს ქვეყანა მრავალფერი,
მრავალსახედ, დიდ-ჰატარად,
როგორც სჰილო, შექმნა მწერიც.
უკმარობის გრძნობა ყველას
თან დასდევს და მეტი უნდა,
მაგრამ რა ვქნათ, თუ კი უფალს
რანიცა ვართ, ასე სურდა.
ეს ცხოვრება ყველასათვის
ასჰარეზია ეოველის,
გადარჩენის გზების ძებნა
ყველასა აქვს საჰოვნელი.
სუსტის დაცვა ძლიერს ძალუძს,
როგორც ია ბუჩქს მიენდო,
ჭკუით თუ არ იმოქმედე,
ძლიერი სუსტს არ დაინდობს.
შევეგუოთ ჩვენს სიმცირეს,
ფრთხილად წავდგათ ნაბიჯები,
რომ ძლიერმა არ გაგვსრისოს,
უცებ ფეხის დაბიჯებით.

ფიროსმანს

ღმერთმა მარჯვენა გიკურთხა,
აღმოჩნდი მისი რჩეული,
ჩვეულებრივი ფრინველი,
არწივად გადაქცეული.
ისეთ სიმაღლეს მიაწვდი,
ამაზე არც გიფიქრია,
როგორ თავდება სიცოცხლე,
დღეები როგორ მიქრიან.
კახურ სიდინჯით იარე,
ქიზიყურ სიჯიუტითა,
არ უღალატე შენს საქმეს,
თუ გინდაც ერთი წუთითა.
ვერ გახდი ძუნწი ვაჭარი,
ვერ დაგახარბა ფულებმა,
გული დაგვწუვიტა ვაჭრობით
დღეებმა დაკარგულებმა.
შენი ჰირადი ცხოვრება
ვერ იქნა და ვერ აიწეე,
ქალი, რომელმაც დაგკოდა,
გულიდან ვერ ამოიგდე.
სავალ გზას ვარდით უფენდი,
გულსაც უძღვნიდი ხატადა,
ვერც ის მიგიხვდა ეს ფუნჯი
მის სახეს რატომ ხატავდა.
ლოთი არ იყავ, ღვინოში
კლავდი ბოღმას და ვარამსა,
მთვრალი ვერავინ ვერ გნახა,
ფეხზე იდექი მყარადა.
ხატავდი მუხლჩაუხრელად,
გული რას გიკარნახებდა
ზოგი თუ არ გიფასებდა,
ბევრი მარჯვენას გიქებდა.
ვისაც რა უნდა, ის ეთქვა,
შენ შენი საქმე აკეთე,
რას იზამ, ზოგს სიცოცხლეში
არ უფასებდა სიკეთე.
არ გითხოვია არასდროს
ვინმესთვის, მაქეთ, მადიდეთ,
დიდი რომ იყავ, ჩვენ ყველამ
ძალიან გვიან გავიგეთ.
ჩვენი ქართული ბუნებით,
შინაურს არ აქვს შენდობა,
მხოლოდ უცხოურს ვაფასებთ,
გულიც უცხოელს ენდობა.
მოძმისაგან მივიწყებული,
უცხომ შეგიცნო, შეგაქო,
მერე კი მთელმა მსოფლიომ
მხატვარს ჰატივი მიაგო.
ახლა გვაწუხებს სირცხვილი
შენი არ დაფასებისა,
დამარხვის უპატრონოდ და,
საფლავის დავიწყებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის მარტოობა

ქარია...

სოფლის მარტოობის ერთადერთი გამზიარებელი. ხანდახან ისიც კი იშვიათად შემოუვლის ხოლმე სოფლის მარტოობას...

არადა რა, ძნელია სოფლის მარტოობა. გამოდიხარ გარეთ და არავინ გხვდება სულიერი, ვინმე თუ შეგხვდება, გიხარია, ელოდები, როდის მოგიახლოვდება, გამარჯობა რომ უთხრა. შენი გამარჯობა განსაკუთრებით მოხუცებს უხარიათ. ჯერ გაჩერდებიან, გიყურებენ, ცდილობენ, შენი ვინაობა გაიგონ, მერე გკითხავენ, შენც უპასუხებ, მას გაეღიმება, მიხვდება და ალალ, გულიან გამარჯობას დაგიბრუნებს... ისინიც ნელ-ნელა სოფლის მარტოობის გამზიარებლები ხდებიან.

არადა, რა დიდი იყო სოფელი... რა დიდი და რა ძლიერი... ისინიც გეტყვიან ამას ... უფრო და უფრო, თანდათანობით, ნელ-ნელა ვხვდები, რომ ჩვენთვის ძვირფასი ადგილებიც გრძნობენ მარტოობას...

მათაც ვენატრებით, მათაც უნდათ ჩვენთან ერთად, უნდათ, რომ მათ თითოეულ კუთხეში ხალხი იყოს, ვიღაც თონეში პურს აცხობდეს, ვიღაც მიწას უვლიდეს, მოსავალს იღებდეს, ხეხილს კრეფდეს და მომავალ სეზონს იმედიანად უყურებდეს...

ქარია...

სოფელი მარტოა. ჩვენც მარტო ვართ სოფლის გარეშე.

როცა ჩადიხარ და ყველა დაცარიელებული სახლი შენი სოფლის ტკივილს გახსენებს. როცა გაზაფხული მოდის და აყვავებული ხეხილი სოფლისკენ გეძახის... ატმის ყვავილობა უნდა ნახოთ... უნდა ნახოთ ტყე როგორი ფერადია... თუკი ტყეს ნახავთ... უნდა ნახოთ სოფელსაც , როგორ უხარია გაზაფხულს მოყოლილი მისი შვილები...

ვიფიქრე, ბევრი ვიფიქრე, ჩვენი ბრალია, ჩვენი... სოფლის მარტოობა ჩვენი ბრალია...

ჩვენ თუ ვივიწყებთ, ისიც გვივიწყებს დიდი დროის შემდეგ...

ჩვენ თუ გადავიყვარებთ, მისი მიწა არ გაგვიკარებს ახლოს...

ჩვენ თუ არ ვიზრუნებთ, ჩვენი სახლები დაიშლება, ჩამოიშლება, გაქრება...

სოფელსაც ჰქონია მარტოობა...

ქარია...

ყველაზე მეტად შარაზე მიმავალი მოხუცი გრძნობს სოფლის მარტოობას...

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

კროსვორდი



ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. რომის იმპერატორი, რომელმაც ომი გამოუცხადა პოსეიდონს და ჯარისკაცებს ტალღები გააშოლტინა 2. ბოსტნეული, რომელიც ჩითილებით მრავლდება 3. ზევსის მერიქიფე ყმაწვილი 4. წვეტიანი გეომეტრიული სხეული, რომლის ფუძე წესიერი მართკუთხედია 5. ოპერის შესავალი ნაწილი, რომელსაც თავის დროზე მაყურებლების ქუჩიდან შემოსაყვანად უკრავდნენ 6. მინერალური საიუველირო ქვა 7. ლეგენდარული ბასკი ფეხბურთელი - მეკარე 12. მინერალი, რომლის სახელიც ერთ-ერთ გეოლოგიურ პერიოდს უწოდეს 16. ქუჩა ნიუ-იორკში - ”თეატრალური მექა” 17. მსხვერპლად შესაწირავი საკლავი 18. ფრანგი ფერმწერი ფერნან ... 19. იგივეა, რაც პირატი, ფლიბუსტიერი, კაპერი 20. საფრანგეთის დიდი რევოლუციის მოღვაწე, რომელიც საკუთარ აბაზანაში მოკლეს 21. ოსი საბჭოთა მწერალი ... ჯუსოითი 22. ავიცენა, იგივე აბუ ... იბნ სინა 25. თბილისის ძველი უბანი 26. ლეგენდის მიხედვით ეს ქალაქი ბატებმა იხსნეს 29. ტურ ჰეიერდალის პაპირუსების გემი 30. თანხმობის ფორმა

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 4. სიმდიდრის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში 8. ამბოხება, რომლის დროსაც ერთმა ფრანგმა ფეიქარმა ხის ქოშით დაზგა გამოიყვანა მწყობრიდან და მას შემდეგ ასეთ ამბოხებას ამ ფეხსაცმლის სახელი უწოდეს 9. კბილის დამცავი შრე 10. ძველი სლავური ენის ერთ-ერთი ანბანი 11. ლითონის დისკი, რომლის მეშვეობითაც გრამფირფიტები იბეჭდებოდა 13. რუსი საბჭოთა ავიაკონსტრუქტორი 14. ... გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა 15. გერმანული აღორძინების ეპოქის უდიდესი მხატვარი ალბრეხტ ... 16. წაგრძელებული მართკუთხა უგუმბათო ტაძარი 20. გარსი, რომელიც მოქცეულია დედამიწის ლითოსფეროსა და ბირთვს შორის 23. იგივეა, რაც სათბური 24. მსაჯი, რომლის ფორმის აქსესუარია ჰალსტუხი-პეპელა 27. გრაფ დრაკულას პროტოტიპი ... ცეპეში 28. ზღვა შუა აზიაში 30. ძვირფასი თვლების წონის ერთეული 31. წინაღობის ერთეული 32. პირის ნაცვალსახელი 33. ჩეხეთის ეროვნული გმირი ... ჰუსი

ფატიმა წოტოიძე – ქალი, რომელსაც „შატილის ასულო“ მიეძღვნა

თითქმის ნახევარი საუკუნის წინ, 36 წლის თუში მეცხვარე ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ლექსი, რომელიც სატრფოს მიუძღვნა, წლების შემდეგ პოპულარულ ქართულ სიმღერად იქცეოდა, მას კი ავტორობის მტკიცება სასამართლოში მოუწევდა.

„მთიდან ჩამოვედი და ამხანაგები მეუბნებიან, შენზე ლექსია დაწერილიო. შატილის ასულოო, მაგრამ ფატიმა სწერია, შენ მოგიძღვნაო. მე კიდევ ვიცი რატომ, წინა წელსაც მითხოვა, იმის წინაც მითხოვა და მე უარი ვუთხარი. რაღაცით მაინც უნდა მოვეხიბლე. ისეთი ლამაზი სიტყვები იყო, მე თვითონ ვისწავლე, მუსიკა მასწავლებელმა დაგვიწერა და გუნდში გვამღერა. ეს ლექსი დამრჩა და მთელი სოფელი შატილის ასულს მეძახდა“.

„შატილის ასული“, ფატიმა წოტოიძე მაშინ 20 წლის იყო, თუში მეცხვარე იოსებ ლონგიშვილი კი მასზე 16 წლით უფროსი. გათხოვებაზე ორჯერ უარიც ამ მიზეზით უთქვამს, თან სწავლის გაგრძელებაც სურდა.

„მაღალი ვიყავი, მეტრი და 85 სანტიმეტრი. ჩემზე მაღალი არცერთი გოგო არ იყო სოფელში. თავს ვიწონებდი კაცო. გინდაც ლამაზი არ იყო, ტანადობა ხელს გიწყობს, გალამაზებს კიდეც. ყველას თავს ვაწონებდი, სიყვარული ისე მინდოდა“.

ორი უარის შემდეგ იოსებ ლონგიშვილი ქალის დეიდასთან მისულა ხელის სათხოვნელად. დედა სახლში არ ყოფილა, მის გარეშე მიულიათ გადაწყვეტილება.

„დეიდაჩემი მეუბნებოდა, ის უნდა შეირთო, ვისაც შენ უყვარხარ, განა ვინც შენ გიყვარსო. ამ კაცს მე აქედან არ გავაბრუნებ, მე ვარ უფროსი და უარი არ უნდა თქვაო. არ მინდოდა მეცხვარე შემერთო ქმრად. ყველას დიპლომიანი ქმრები ჰყვანან და ეხლა მე მეცხვარე? არა, მეც თავი მომწონს. მაგრამ, არაუშავსო ვიფიქრე, იმხელა ჭკუა აქ, რომ ყველა დიპლომიანს აჯობებს“.

„შატილის ასულოს“ ტექსტი დღემდე რამდენჯერმე შეიცვალა - თავდაპირველ ვერსიაში, 1960 წელს, პოეტს „შატილის ასულო, ლერწამო ფატიმა“ დაუწერია და არა „ლერწამო ტანისა“, როგორც ეს დღეს არის გავრცელებული.

მომდევნო წლებში ლექსის სათაურად ავტორმა „ხადიშათ“ მიუთითა, პირველი სტროფი კი ასე ჟღერდა - „ჩეჩენთა ასულო, ლერწამო ხადიშათ“. 1995 წელს იოსებ ლონგიშვილის პოეტურ კრებულში კი ლექსი „შატილის ასულოს“ სახელით შევიდა, თუმცა პირველ სტრიქონში, ფატიმას ნაცვლად, კვლავ ხადიშათ წერია.

- მაგ სახელის გოგოსაც ხომ არ ეტრფოდა? - ხუმრობით ვკითხეთ ფატიმა ბებოს.

„ეგ იმიტომ წერია, რომ მთავრობას სჭირდებოდა. ჩეჩნებთან დავმეგობრდით და ეგრე დაწერეო, უთხრეს. სთხოვეს და დაწერა. მერე როგორ ვიჩხუბეთ, შენ ფატიმა აღარ გიყვარს, ხადიშათი გიყვარს და იქამდე წავიდა საქმე, რომ უნდა გავყრილიყავით. ვუთხარი, თუ მაგ ლექსში მაგ სიტყვას იხმარ, გაგეყრები, დღეის მერე შენი ცოლი აღარ ვარ, ვინც გინდა ის იყოს“.

- რომ არ გაეყარეთ და წიგნში მაინც ხადიშათ წერია?

- ეს არაუშავ, ვაპატიე.

„შატილის ასული“ თუშია, ხევსურეთში არასდროს უცხოვრია: „ლამაზად რომ გამოსულიყო ლექსი, მთებიდან მთებში გვეფრინა. თუშეთიდან, თუშეთში ხომ ვერ წამიყვანდა“.

ლექსზე სიმღერა, მისი შექმნიდან მალევე, თუშმა მასწავლებელმა თამარ ქაჯემ დაწერა. მას შემდეგ, ტექსტის მსგავსად სიმღერის შესრულების სტილიც ბევრჯერ შეიცვალა. 2001 წელს სიმღერა საფრანგეთში, გასტროლებზე მყოფმა ანსამბლმა „ერისიონმა“ შეასრულა, თუმცა „შატილის ასულოს“ „ერისიონის“ რეპერტუარში „სამაია“ ერქვა და ავტორად ხალხური იყო მითითებული.

„პირველად რომ ტელევიზორში მოვისმინეთ „შატილის ასულოს“ მღერიან, გაგვიხარდა. მერე გამოაცხადეს, რომ ეს ლექსი არის ხალხური, ამას პოეტი არა ჰყავსო. გავბრაზდით, გავნერვიულდით, განა მარტო ჩვენ, მთელი სოფელი აყალმაყალში იყო, ეს რა თქვესო“.

იმის დასამტკიცებლად, რომ ლექსის ავტორი ნამდვილად იოსებ ლონგიშვილია, ოჯახს სამი ინსტანციის სასამართლოს გავლა მოუწია. პოეტმა თბილისის სასამართლოს სარჩელით 2004 წლის 8 იანვარს მიმართა. დავა ხუთ წელს გაგრძელდა. საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა საქმე „ერისიონის“ სასარგებლოდ გადაწყვიტეს, ლექსის ავტორად იოსებ ლონგიშვილი უზენაესმა სასამართლომ მხოლოდ 2009 წელს აღიარა, მაშინ როცა პოეტი უკვე 3 წლის გარდაცვლილი იყო.

„ისე ძალიან განიცადა, ფეხზე იყო, მაგრამ ლოგინად ჩავარდა. იმდენი ინერვიულა, იმდენი, რომ ბოლოს გადაყვა.

ეს იოსები განსაკუთრებული კაცი იყო. იცი რით? მთა უყვარდა გაგიჟებამდე. ვეხვეწებოდი, ქვეყანა რუსეთში მიდის, მოდი, ჩვენც წავიდეთ, რაღაცა გავაკეთოთ. რუსეთში რომ წავიდე, იქ მთები არ არი, რა უნდა ვქნაო. ტრიალ მინდორში ლექსებს როგორ დავწერო“.

იოსებ ლონგიშვილს ეკუთვნის კიდევ ერთი ცნობილი სიმღერის ტექსტი. „რა კარგი იყო თუშეთი“, რომელსაც დღეს ხალხი „რა ლამაზია თუშეთის“ სახელით უფრო იცნობს. მეუღლე ამბობს, რომ ეს ლექსი ლაშარობიდან ჩამოსვლის შემდეგ დაწერა და სოფელ ჩიღოს მიუძღვნა.

75 წლის ფატიმას ქმრის ჰიტებად ქცეულ ლექსებზე მეტად მაინც ის ლექსი უყვარს, რომლითაც მისი და იოსების სიყვარულის ისტორია დაიწყო. სატრფოსთვის მიძღვნილი პირველი ლექსი იოსებს ალაზნისთავში, ფატიმასთან შეხვედრის შემდეგ დაუწერია.

„იქ დარჩა ტიალი გული, სადაც ალაზნისთავია,
ხხვამ არ წამართვას ლამაზი, მთებო, გეჯიროთ თვალია...“

„მომეწონა, იგრე მომეწონა ეგ სიტყვები. მთაში კაცი, მთებს ავალებს რომ სხვამ არ წამართვას ლამაზი ქალიო. იქიდან დაიწყო..

მინდა, რომ იმღერონ. გთხოვთ, ვინც კარგი მღერა იცის, იმღეროს რა. სანამ მოვკვდები, მანამ იმღერონ“.

გოდერძი აბულაშვილი, ეთერ ფიცხელაური ოჯახით თანაგრძნობას უცხადებენ ნინო წელაურს, ეკა და ია ყოჩიაშვილებს მეუღლისა და მამის

გივი ყოჩიაშვილის

გარდაცვალების გამო.

ფატი და ლუიზა ზურაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ შურიკო თიაყაშვილს დედის, გივი ლათიბაშვილს დის და მზია გონაშვილს დეიდის

ვარდიკო ლათიბაშვილ-თიაყაშვილის

გარდაცვალების გამო.

ჩემპიონები სამჭიდში

24 თებერვალს თბილისში, ათლეტიზმის ფედერაციის ორგანიზებით, საქართველოს ჩემპიონატი გაიმართა ძალისმიერ სამჭიდში, სადაც 18 კლუბის 100-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა სხვადასხვა რეგიონიდან. დედოფლისწყაროდან კლუბი „ლეგიონის“ 20 სპორტსმენი მონაწილეობდა 10-23 წლის ასაკის წარმომადგენელთა შორის. შეჯიბრი ორ დისციპლინაში ჩატარდა - ძალისმიერ სამჭიდში და წოლჭიმში. დედოფლისწყაროელმა სპორტსმენებმა, ძირითადად, სამჭიდში მოსინჯეს ძალები. საბოლოო ჯამში, გუნდმა „ლეგიონმა“ მოიპოვა 6 პირველი, 4 მეორე და 5 მესამე ადგილი. მიღწეული შედეგების გამო „ლეგიონის“ ერთერთი სპორტსმენი თედო ვარდიშვილი ეროვნული ნაკრების წევრი გახდა.

პირველი ადგილები დაიკავეს და საქართველოს ჩემპიონები გახდნენ: ვასილკო ჩივაძე (წოლჭიმი, 60 კგ - 21 წლის); თედო ვარდიშვილი (სამჭიდი, 63 კგ - 19 წლის); ოთარ გავაშელიშვილი (სამჭიდი, 83 კგ - 16 წლის); ზუკა ნიპომნიშევი (სამჭიდი, 53 კგ - 14 წლის); ნუკრი ქოზაშვილი (წოლჭიმი, 59 კგ - 13 წლის).

„ჩვენი გუნდი, ძირითადად, სამჭიდელებით დაკომპლექტდა, 20-დან 15 მათგანი ამ სახეობაში გამოვიდა. გუნდი წარმოდგენილი იყო როგორც ძირითადი ბირთვით, გამოცდილი სპორტსმენებით, მსოფლიო, თუ ევროპის ჩემპიონებით, ასევე ახალბედა, გამოუცდელი მოზარდებით, რომლებმაც პირველად მიიღეს მონაწილეობა და პირველივე ცდა წარმატებული აღმოჩნდა. შემაფერხებელი გარემოებაც იყო, შეჯიბრი ჩატარდა **IDF** ვერსიით და დაბალი წონითი კატეგორიები შეჯიბრებიდან მოხსნეს, ვინაიდან 6 სპორტსმენი დაბალ წონაში გვყავდა — 35-დან 48 კილოგრამამდე. ისინი ჩასვეს 53 კილოგრამ კატეგორიაში, უფრო უარესიც მოხდა 11-12-13-14 წლის ბავშვები 19 წლამდე მოზარდებთან შესარკინებლად გამოიყვანეს. ასეთი გადანაწილება მიუღებელია მოზარდებისთვის, ამიტომ მომავალი შეჯიბრებებისთვის ეს საკითხი ეროვნული ფედერაციის დონეზე განიხილება. 19 წლის მხოლოდ თედო ვარდიშვილი იყო. ის გამოცდილი სპორტსმენია, ამიტომ სამჭიდში თედომ რეკორდი მოხსნა, ჟიმი – 95 კგ, ხოლო ჩაჯდომი 130 კგ, ამოწევა კი 200 კგ შეასრულა. სპორტსმენი სულ 63 კილოგრამს იწონის და მან დააგროვა 425 კგ, ამიტომ სხვა სპორტსმენები მას ვერ გაუტოლდებიან,“ — აღნიშნავს „ლეგიონის“ მწვრთნელი **მიხეილ სეხნიაშვილი.**

ეროვნული ნაკრების წევრი თედო ვარდიშვილი ჩვენთან საუბრისას ამბობს, რომ მისთვის ჯანსაღი ცხოვრების წესი პრიორიტეტულია და სპორტის ეს სახეობა ყველაზე მეტად ხიბლავს.

„უკვე რამდენიმე წელია, ვვარჯიშობ, ძალიან მიყვარს „შტანგა“. ჩემთვის ეს შეჯიბრი და აქ აღებული პირველი ადგილი ცხადია, მნიშვნელოვანი იყო, რადგან სამომავლოდ ის მნიშვნელოვან როლს შეიტანს ჩემს კარიერაში. კონკრეტულად რა მიზნები მაქვს, ჩამოყალიბებული არ ვარ, მაგრამ ერთი რამ ზუსტად ვიცი, რომ მომავალში კიდევ უფრო დიდი ენთუზიაზმით და ენერგიით მოვემზადები. იმისათვის, რომ წარმატებებს მიაღწიო და მაღალ საფეხურზე ახვიდე, მთავარია, მონდომება, სპორტის სიყვარული და დიდი სურვილი. სავარჯიშოდ ნორმალური პირობები მაქვს, მჯერა, მომავალში კიდევ მოვუმატებ წონებს და მეტი სიმძიმის აზიდვას შევძლებ. როცა ენთუზიაზმი და სურვილი დიდია, ამ შემთხვევაში დარწმუნებული ვარ, დამიფასდება და სულ მალე უფრო სერიოზული შეჯიბრების მოგებას შევძლებ. დღევანდელ რეალობაში, ჩემი აზრით, მავნე ჩვევები უფრო პოპულარულია. ახალგაზრდებში მოწევა და ალკოჰოლი უფრო მოთხოვნადია, მაგრამ კარგი იქნება, თუ სპორტით ბევრი მოზარდი დაკავდება. არ ვიცი, რატომ არ არის ჯანსაღი ცხოვრების წესი პოპულარული და რატომ ჭარბობს უარყოფითი, მაგრამ თუ სპორტით დაკავდებიან, ბევრად ჯანმრთელი ახალგაზრდობა და მომავალი თაობა გვეყოლება. როცა შენთვის პრიორიტეტი ჯანსაღი ცხოვრების წესია და აქტიურად ხარ სპორტში ჩაბმული, ყოველდღიურად ვარჯიშობ, ამ დროს სურვილიც არ გიჩნდება დრო და ენერგია ალკოჰოლის მიღებაზე დახარჯო. ხანდახან დალევაც და გართობაც შეიძლება, მაგრამ ჩემს შემთხვევაში ეს სისტემატიურ სახეს არ იღებს. სპორტულ ცხოვრებას ბევრი პლიუსი და დადებითი მხარე აქვს. შეუდარებელია, როცა ძლიერი ხარ და კონკრეტული მიზანი გაქვს ცხოვრებაში. ასეთ დროს ბევრად თავდაჯერებული ხარ და საკუთარი თავის რწმენა გემატება, რომ ბევრის გაკეთება შეგიძლია და უფრო მეტ წარმატებას მიაღწევ. საკუთარ მაგალითზე რომ გითხრათ, ჩემთვის ეს ის საქმეა, რომელიც ძალიან მიყვარს და ბედნიერებაა, როცა იმ საქმით ხარ დაკავებული, რომელიც ძალიან გიყვარს და იმას აკეთებ, რაც მოგწონს. მომავალში, შესაძლოა, უფრო მეტი პერსპექტივა ჰქონდეს ამ სპორტს,“ — განუცხადა გაზეთ „შირაქს“ თედო ვარდიშვილმა.

საქართველოს ჩემპიონატი ძალისმიერ სამჭიდსა და წოლჭიმში პროფკავშირების კულტურის ცენტრში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერითა და დაფინანსებით ჩატარდა. როგორც გაზეთ „შირაქს“ ათლეტიზმის ფედერაციაში განუცხადეს, შეჯიბრების შედეგების მიხედვით დაკომპლექტდა საქართველოს ნაკრები გუნდები, რომლებიც საქართველოს სახელით მონაწილეობას მიიღებენ ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატებში. კონკრეტულად ამ ასპარეზობაზე მიღებულმა ქულებმა ვარდიშვილს საშუალება მისცა, ფედერაციის მიერ შედგენილ იმ სიაში მოხვედრილიყო, რომელიც უფრო მაღალი რანგის ტურნირებზე მონაწილე სპორტსმენებს აერთიანებს. ნაკრები გუნდების შემადგენლობა ფედერაციის პრეზიდენტმა უკვე დაამტკიცა და მასში დედოფლისწყაროდან მხოლოდ თედო ვარდიშვილი მოხვდა.

„საქართველოს ჩემპიონატებში მონაწილე სპორტსმენები, რომლებმაც დააკმაყოფილეს საერთაშორისო ნორმატივი, ისინი მოხვდნენ ნაკრებში, რომლებიც თავის მხრივ მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრების კანდიდატები არიან. ვინც ამ ეტაპზე სიაში ვერ მოხვდა, მეტი შედეგის ჩვენებაა საჭირო. შესაძლოა, ზოგიერთი ჩემპიონი გახდა, მაგრამ ნაკრების სიაში მაინც არ იყოს, ეს ნიშნავს, რომ შედეგი არ არის დამაკმაყოფილებელი. დედოფლისწყაროდან ვარდიშვილი უკვე არის ეროვნული ნაკრების წევრი, შედეგის გაუმჯობესების შემთხვევაში ის კანდიდატია ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატზე წასაყვანად. ამ ეტაპზე მხოლოდ 8 სპორტსმენმა აჩვენა ჩემპიონატზე გასამგზავრებელი შედეგი,“ — აცხადებენ ფედერაციაში.

ამავე დღეს დედოფლისწყაროდან მეორე ადგილზე გავიდნენ: **მიშიკო ზუბიაშვილი** (სამჭიდი, 67კგ-15 წლის); **ლადო ტუხაშვილი** (წოლჭიმი, 53 კგ-12 წლის); **ანრი ყარაულაშვილი** (სამჭიდი, 53 კგ-12 წლის); **დანიელ ნაროზაული** (53 კგ - 12 წლის). მესამე ადგილი: **ზაქრო რობიტაშვილი** (წოლჭიმი, 83კგ-25 წლის); **გიორგი ხუცურაული** (სამჭიდი, 67კგ -15 წლის); **თორნიკე ჩოკოშვილი** (სამჭიდი, 67 კგ-14 წლის); **ნიკა ნიპომნიშევი** (წოლჭიმი, 53 კგ -11 წლის); რამდენიმე ახალბედა სპორტსმენი მედლის და დიპლომის გარეშე დარჩა, მაგრამ ძალიან კარგად და მთელი თავგამოდებით იბრძოლეს. მათ აქვთ საიმისო პოტენციალი, რომ მალე დაამტკიცონ, სპორტული მიღწევების ჩვენება მათაც შეუძლიათ. ასეთია, მაგალითად, **გიორგი კოდიაშვილი,** რომელიც კლუბს სულ ახლახან შემოუერთდა და პირველივე ასპარეზობა შთამბეჭდავი იყო. მან ჩაჯდომში და ამოწევაში 85 და 140 კგ დააფიქსირა. ჟიმში რომ გამოუცდელობის გამო ტექნიკური შეცდომები არ დაეშვა, საპრიზო ადგილს დაიკავებდა.

საერთო ჯამში, დედოფლისწყაროში მოქმედი კლუბ „ლეგიონის“ მიღწევები ასეთია: 2017 წლიდან ლადო ტუხაშვილი, ანრი ყარაულაშვილი, ზუკა ნიპომნიშევი, ნუკრი ქოზაშვილი და ოთარ გავაშელიშვილი მსოფლიო ჩემპიონები არიან. ამავე წელს ქოზაშვილი და გავაშელიშვილი ევროპის ჩემპიონებიც გახდნენ. გაზეთი „შირაქი“ ეცადა, სხვა წარმატებული სპორტსმენების მოსაზრებებიც მოესმინა, მაგრამ მათ ეს არ ისურვეს.

ამჟამად გუნდი მომდევნო შეჯიბრებისთვის ემზადება, რომელიც საერთაშორისო ტურნირია „სანდაში“ და უახლოეს დღეებში უნდა გაიმართოს. მასში 7 სპორტსმენი მიიღებს მონაწილეობას. 25 მარტს კი კვლავ ძალისმიერ სამჭიდში საერთაშორისო ტურნირი „რკინის ევრაზია“ უნდა გაიმართოს, სადაც დედოფლისწყაროდან ასევე 20 სპორტსმენი იბრძოლებს. დაგეგმილია შეჯიბრებები კიკბოქსინგში, MMA-სა და ძალისმიერ ორჭიდშიც, რაც გუნდს დიდ სტიმულს აძლევს.

ილია მარტყოფლიშვილი

ბიბლუსის თაროებზე

ბიბლუსის მაღაზიათა თაროებზე და დედოფლისწყაროს საგაზეთო ჯიხურებში გამოჩნდა მარიამ კიკილაშვილის ნაშრომი „ადამიანი, როგორც სამყაროს შვილი“. წიგნს თან ახლავს საჩუქრად მცირე მოცულობის წიგნი „სამი მედიტაცია ანუ ქრისტეს სახელთან“. ორივე წიგნი მისტიურია და ადამიანს ღრმად ჩააფიქრებს მისი დედამიწაზე დაბადების შინაარსზე და მისიაზე.

„ადამიანი სამყაროს შვილია. ის ერთი პაწია მიკრო-მოლეკულაა, რომელიც თავისში იტევს მინიერს, არამინიერ-კოსმიურს და სულიერს, ხილულს თუ უხილავს.

ის ყველაფრის კრებითი არსებაა.

სამყარო თავისი კანონებით სუნთქავს. საზოგადოებას თავისი პრესტიჟული თუ არაპრესტიჟული, მისაღები თუ მიუღებელი დაუწერელი კანონები აქვს.

ადამიანში, რომელიც თავის თავში გზას უხსნის სამყაროს კანონებს, ჰარმონიის განცდა იბუდებს.

ეს წიგნი ეხება ადამიანში მყოფი მეორე, უხილავი ადამიანის აგებულებას, მის ევოლუციურ გზებს.“-ამბობს ავტორი წიგნის წინასიტყვაობაში და საკმაოდ საინტერესო სამყაროსკენ მიგვიძღვება.

საგაზეთო ჯიხურებში კიდევ განთავსდება ავტორის მუსიკალური ნაშრომი ქართულ მრავალხმიანობაზე, რომლის წარმოშობის პირველმიზეზს ბიბლიაში პოულობს.

მადლიერება



ამ რამდენიმე დღის წინ გულის მწვავე შეტევით მოხვედი საავადმყოფოში. ჩემი მდგომარეობა კრიტიკული იყო და სიკვდილ-სიცოცხლის გზაგასაყარზე ვიყავი. ექიმმა კარდიოლოგმა ეთერ დათუკიშვილმა აჯობა სიკვდილს და მისი კლანჭებიდან გამომგლიჯა. ჩემს გამოსაჯანმრთელებლად ასევე არ დაიშურეს ძალისხმევა საავადმყოფოს ხელმძღვანელმა ხათუნა ზურიკაშვილმა და ვანო ნატროშვილმა, სხვა მედპერსონალთან ერთად. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო მათ ასეთი მზრუნველობისა და გულისხმიერებისთვის. კვლავაც დიდხანს იდგნენ ხალხის ჯანმრთელობის სადარაჯოზე. ქალბატონ ეთერს კი, როგორც ჩემს მკურნალ ექიმს, გამორჩეულ მადლობას ვუხდი და ვულოცავ ქალთა დღესასწაულებს!

პატივისცემით,
ნუნუ კორახაშვილი, **სოფელი ოზაანი**

ყურადღება!

ჯანდაცვის საერთაშორისო საგენტო „ნიუ ლაიფ ჯორჯია“ სთავაზობს სუროგატ დედობას 19-დან 39 წლამდე ქალბატონებს 15 000-დან 17 000 დოლარამდე ანაზღაურებით.
ინფორმაციისთვის დაგვირეკეთ: 599 980 886

სოფელ გამარჯვებაში მცხოვრები ვალიკო ღორაშვილი, მთელი საქართველოს მასშტაბით, სრულიად უფასოდ სთავაზობს ყველა მსურველს მიწავაშლას, სამკურნალოდ, ან გასამრავლებლად.
დეტალური ინფორმაციისათვის დარეკეთ:
☎ 571 08 47 75; 555 983236.

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 11.03	სამშაბათი 12.03	ოთხშაბათი 13.03	ხუთშაბათი 14.03	პარასკევი 15.03	შაბათი 16.03	კვირა 17.03
დღე	8°	11°	14°	13°	6°	8°	10°
ღამე	7°	10°	13°	8°	5°	6°	8°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

REDAQCIIS MISAMARTIA:
ქ.ალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.